პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 29-ე წელი

კვირა, 26 სექტემბერი, 1948 წ. № 192 (8236). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში:

მიეცით ჩვენს ქვეყანას მეტი ხილი! — მოწინავე (1-ლი გვერდი).

ქალაქ ლენინგრადისა და ლენინგრადის ოლქის მრეწველობის მუშაკების წერილი ამხანაგ ი. ბ. სტალინს (1-ლი გვერდი).

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის კიმ ირ სენის წერილი ი. ბ. სტალინს (1-ლი გვერდი).

სასოფლო-სამეურნეო გადასახადი ბიუჯეტის შემოსავლის დიდმნიშვნელოვანი წყარო — „პრავდის“ 25/IX მოწინავე (1-ლი გვერდი).

ყაზბეგის მწვერვალის იერიში (1-ლი გვერდი).

ბოლშევიკურად ვიბრძოლოთ მიჩურინული ბიოლოგიისათვის (მე-2 გვერდი).

პარტიული ცხოვრება (მე-3 გვერდი).

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მესამე სესია (მე-3 და მე-4 გვერდი).

უცხოეთის ამბები — დეპეშები (მე-4 გვერდი).

მიეცით ჩვენს ქვეყანას მეტი ხილი!

შარშან დეკემბერში გორელი მეხილეები გამოვიდნენ სოციალისტური შეჯიბრების ინიციატორად, სპეციალურ შეკრებაზე აწონ-დაწონეს თავიანთი შესაძლებლობანი, იკისრეს კონკრეტული ვალდებულებანი და 1948 წელს უხვი მოსავლის მოყვანისათვის მოწოდებით მიმართეს საქართველოს მეხილეობის რაიონების ყველა კოლმეურნესა და სპეციალისტს. გორელთა ამ პატრიოტულ თაოსნობას ჩვენში მეხილეებმა ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი. მთელ ქართველ გლეხობასთან ერთად გორის რაიონის კოლმეურნეებმა, საბჭოთა მეურნეობების მუშებმა და სპეციალისტებმა კიდევ უფრო გადიდებული ვალდებულება იკისრეს დიდი სტალინისათვის მიმდინარე წელს გაგზავნილი წერილით. სოციალისტურმა შეჯიბრებამ ხილის მოსავლიანობის გასადიდებლად ფართო ხასიათი მიიღო. პარტიული ორგანიზაციები სათავეში ჩაუდგნენ კოლმეურნეთა მასების მზარდ საწარმოო აღმავლობას. მთელ რიგ კოლმეურნეობებში გაუმჯობესდა ხეხილის მოვლა. ამის გამო წელს კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები ხილის უხვ მოსავალს იღებენ. ამ მხრივ გამოირჩევიან გორის, სტალინირის, ლენინგორის, ტყიბულის, ადიგენისა და ახალციხის რაიონები.

სოციალისტური შეჯიბრების ინიციატორები—გორელი კოლმეურნეები წარმატებით მუშაობენ ხალხთა დიდი ბელადის ამხანაგ სტალინისათვის მიცემული სიტყვის შესასრულებლად. ისინი გადაჭარბებითაც გაანაღდებენ ნაკისრ ვალდებულებებს. ამას მოწმობენ ჩვენი გაზეთის დღევანდელ ნომერში დაბეჭდილი მასალები. გორელი მიჩურინელი პრაქტიკოსი ვასილ ბესტავაშვილი თავის წერილში „კომუნისტის“ მკითხველებს მოუთხრობს, რომ მან ი. ვ. მიჩურინისა და აკადემიკოს ტ. დ. ლისენკოს მოძღვრების გამოყენებით შექმნა ატმისა და ვაზის ახალი ჯიშები და წარმატებით განაგრძობს ნაყოფიერ მუშაობას.

მიჩურინული ბიოლოგია, რომელიც აკადემიკოსმა ლისენკომ განავითარა, აიარაღებს სამეცნიერო დაწესებულებებისა და სოფლის მეურნეობის მუშაკებს სასოფლო-სამეურნეო კულტურებისა და ცხოველთა არსებული ჯიშების გაუმჯობესებისა და ახალი ჯიშების გამოყვანის სწორი მეთოდებით. ამოცანა ის არის, რომ ბოლშევიკურად ვიბრძოლოთ მიჩურინული ბიოლოგიის ახალი აყვავებისათვის, ფართოდ დავნერგოთ პრაქტიკოსი მიჩურინელის ბესტავაშვილის მიღწევები, გამოვავლინოთ მებაღეობისა და სოფლის მეურნეობის სხვა დარგების მიჩურინელები და ყოველმხრივ შევუწყოთ ხელი მათ.

მეხილეობის რაიონების მუშაკთა წინაშე მრავალი გადაუდებელი ამოცანა დგას. უწინარეს ყოვლისა საჭიროა ყოველმხრივ მომზადებული შევხვდეთ ხილის კრეფა-დამზადებას, მალე ვაშლისა და მსხლის კრეფა მასობრივად დაიწყება. მიუხედავად ამისა, საქართველოს კონსერვხილტრესტის ზოგიერთი მიმღები პუნქტი გორის რაიონში მზად არ არის. საკმაო რაოდენობით არა აქვთ ვაშლის ჩასაწყობი ყუთები, ფარდულების შეკეთება დღესაც არ არის დამთავრებული. საჭიროა სასწრაფო ზომების მიღება ხილის დამამზადებელი პუნქტების სრულ წესრიგზე მოსაყვანად.

მრავალ კოლმეურნეობას წელს ხილის შესანახად არ ეყოფა არსებული საწყობები. აუცილებელია ამთავითვე ზრუნვა ხილის შესანახ სათანადო შენობათა გამონახვისათვის.

ხეხილის ბაღებში საშემოდგომო-საზამთრო სამუშაოთა აგროტექნიკურ ვადაში ჩატარება მეხილეობის აღმავლობისათვის ბრძოლის საწინდარია. დიდი ყურადღება უნდა მიექცეს ამთავითვე ნიადაგის მომზადებას და სანერგე მეურნეობის მოსაწყობად თესლის საკმაო რაოდენობით მომარაგებას.

ცნობილია, რომ მებაღეობას სერიოზულ ზიანს აყენებენ მავნებლები. ამიტომ მავნებლებთან ბრძოლის ღონისძიებათა მთელი კომპლექსის სისტემატურად გატარების გზით უნდა მივაღწიოთ ხეხილის ნარგავთა დაავადების ძირითადი კერების ლიკვიდაციას.

პარტიულმა ორგანიზაციებმა ყოველდღიურად უნდა გააუმჯობესონ ხელმძღვანელობა კოლმეურნეობებისათვის, დროულად აღკვეთონ გამოვლინებული ნაკლოვანებანი. სოფლის კომუნისტები, კომკავშირელები მოვალენი არიან სათავეში ჩაუდგნენ მოძრაობას მებაღეობის ახალი აღმავლობისათვის და დარაზმონ მასები ამხანაგ სტალინისათვის მიცემული სიტყვის მთლიანად შესასრულებლად.

მივცეთ საბჭოთა სამშობლოს მეტი ხილი!

ყაზბეგის მწვერვალის იერიში

ლენინურ-სტალინური კომკავშირის სახელოვანი 30 წლისთავისა და საბჭოთა ალპინიზმის 25 წლისთავის აღსანიშნავად 25 სექტემბერს საქართველოს 502 ფიზკულტურელი ქალი და ვაჟი მასობრივად ავიდა ყაზბეგის მწვერვალზე.

იერიში დაიწყო დილის 4 საათზე, ხოლო 7 საათის შემდეგ ...

ქალაქ ლენინგრადისა და ლენინგრადის ოლქის მრეწველობის მუშაკებისაგან

მოსკოვი, კრემლი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ამხანაგ ი. ბ. სტალინს

ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძევ!

ქალაქ ლენინგრადისა და ლენინგრადის ოლქის მრეწველობის მუშაკთა თათბირი მხურვალე ბოლშევიკურ სალამს გიძღვნით თქვენ, საბჭოთა ქვეყნის ხალხთა დიდ ბელადსა და მასწავლებელს.

თქვენი მამობრივი ზრუნვით აღფრთოვანებულნი, ლენინის ქალაქისა და ლენინგრადის ოლქის მშრომელნი აღადგენენ ლენინგრადის ინდუსტრიულ ძლიერებას, იბრძვიან იმისათვის, რომ წარმატებით შეასრულონ თქვენ მიერ დასახული ამოცანა — შექმნან საკუთარი საიმედო სათბობ-ენერგეტიკული და მეტალურგიული ბაზა ლენინგრადის მრეწველობისათვის. ახალი ენერგეტიკული სიმძლავრენი, საკუთარი სათბობი, საკუთარი ლითონი შექმნიან ლენინგრადის, როგორც ჩვენი ქვეყნის უდიდესი სამრეწველო ცენტრის, შემდგომი აყვავების პირობებს.

თავიანთი სახელოვანი რევოლუციური ტრადიციების ერთგული ლენინგრადელები ძალებს არ იშურებენ, რათა გადაჭარბებით შეასრულონ ომისშემდგომი ხუთწლიანი გეგმის დავალებანი ლენინგრადის მრეწველობის მუშაობის ყველა ხარისხობრივი მაჩვენებლის მიხედვით. სამრეწველო საწარმოთა მუშები, ოსტატები, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები განუხრელად ითვისებენ ახალი მანქანების, ლაზგების, ხელსაწყობისა და სხვა ნაწარმის გამოშვებას, ზრდიან შრომის ნაყოფიერებასა და წარმოების კულტურას, ისწრაფვიან იმისაკენ, რომ ლენინგრადის ფაბრიკა-ქარხნების მუშაობა და მათი გამოშვებული პროდუქცია მოწინავე ტექნიკისა და მაღალი ხარისხის ნიმუში იყოს ჩვენი ქვეყნის სხვა სამრეწველო საწარმოთათვის.

მოხარული ვართ მოგახსენოთ, ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძევ, რომ ქალაქ ლენინგრადისა და ლენინგრადის ოლქის მრეწველობა ყოველთვიურად გადაჭარბებით ასრულებს საწარმოო დავალებებს. მიმდინარე წლის პირველი ნახევრის გეგმა ქალაქ ლენინგრადის მრეწველობამ 106,8 პროცენტით და ოლქის მრეწველობამ 105,1 პროცენტით შეასრულა. ამასთან შრომის ნაყოფიერება 1947 წელთან შედარებით 14,5 პროცენტით გაიზარდა, ხოლო პროდუქციის თვითღირებულება 7,3 პროცენტით შემცირდა. ათვისებულია ათასზე მეტი სახის ახალი ნაწარმი.

სოციალისტური შეჯიბრება დიდი ხანია ლენინგრადელთა მუშაობის ძირითადი მეთოდი გახდა. მასობრივ პროფესიათა ასიათასობით მუშა ეჯიბრება ერთმანეთს საუკეთესო ხარატის, მღარველის, მეფოლადის, საუკეთესო მევატერისა და ფეიქრის წოდების მისაღებად. ფართოდ გაჩაღდა ოსტატებისა და ბრიგადირების, ტექნოლოგებისა და საამქროთა უფროსების შეჯიბრება წარმოების მოწინავე მეთოდების დანერგვისათვის, შრომის, ელექტროენერგიისა და მასალების რაც შეიძლება ნაკლები დახარჯვით მაღალხარისხოვანი პროდუქციის დამზადებისათვის. ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები სტახანოველებთან მჭიდრო თანამეგობრობით განუწყვეტლივ სრულჰყოფენ წარმოების ტექნოლოგიას, ავლენენ ახალ რეზერვებს და აღწევენ პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას, სოციალისტური დაგროვების გადიდებას.

საბჭოთა პატრიოტიზმის გრძნობით გამსჭვალული ლენინგრადელები მთელ თავიანთ ძალებს რაზმავენ საბჭოთა სახელმწიფოს ეკონომიური ძლიერების შემდგომი განმტკიცებისათვის, კომუნიზმის გამარჯვების დიადი საქმისათვის.

ლენინგრადის მრეწველობის მუშაკები იღებენ ქალაქ მოსკოვისა და მოსკოვის ოლქის მრეწველობის მუშაკთა გამოწვევას, რომელთა პატრიოტული თაოსნობაც მხურვალე გამოხმაურებას პოულობს ყველა საბჭოთა ადამიანის შეგნებაში, და ვალდებულებას კისრულობენ 1948 წელს მიაღწიონ 700 მილიონ მანეთ ზეგეგმითი დაგროვებას.

ქალაქ ლენინგრადის მრეწველობა გეგმის გადამეტებით დააგროვებს 600 მილიონ მანეთს, აქედან საწარმოები:

ვასილეოსტროვსკის რაიონისა	—19,5 მილიონ მანეთს
ვოლოდარსკის რაიონისა	—82 მილიონ მანეთს
ვიბორგის რაიონისა	—70 მილიონ მანეთს
კალინინის რაიონისა	—68 მილიონ მანეთს
კიროვის რაიონისა	—26 მილიონ მანეთს
კოლპინოს რაიონისა	—10 მილიონ მანეთს
კუიბიშევის რაიონისა	—16 მილიონ მანეთს
ლენინის რაიონისა	—38 მილიონ მანეთს
მოსკოვის რაიონისა	—93 მილიონ მანეთს
ოქტომბრის რაიონისა	—22 მილიონ მანეთს
პეტროგრადის რაიონისა	—40 მილიონ მანეთს
ზღვისპირა რაიონისა	— 9 მილიონ მანეთს
სვერდლოვის რაიონისა	—31 მილიონ მანეთს
სმოლნის რაიონისა	—21 მილიონ მანეთს
ფრუნზეს რაიონისა	—49 მილიონ მანეთს

ლენინგრადის ოლქის მრეწველობა 1948 წელს სულ ცოტა 100 მილიონ მანეთს დააგროვებს გეგმის გადამეტებით, აქედან საწარმოები:

ქალაქ ვოლხოვისა	—5,8 მილიონ მანეთს
ვსევოლოჟსკის რაიონისა	—4,6 მილიონ მანეთს
ქალაქ ვიბორგისა და ვიბორგის რაიონისა	—4,0 მილიონ მანეთს
ქალაქ გატჩინისა და გატჩინის რაიონისა	—7,3 მილიონ მანეთს
ნოვაია ლადოგის რაიონისა	—6,4 მილიონ მანეთს
სლანცის რაიონისა	—3,1 მილიონ მანეთს
პავლოვსკის რაიონისა	—14,0 მილიონ მანეთს
თასკის რაიონისა	—15,0 მილიონ მანეთს

ჩვენ შეგნებული გვაქვს, რომ ზეგეგმითი დაგროვებისათვის ბრძოლა ნიშნავს ვიმუშაოთ რენტაბელურად, ყოველი ღონისძიებით შევამციროთ პროდუქციის თვითღირებულება, შევამციროთ წარმოების ხარჯები, აღმოვფხვრათ დანაკარგი და წუნი.

ქალაქ ლენინგრადისა და ლენინგრადის ოლქის მშრომელები უფრო ფართოდ გააჩაღებენ სოციალისტურ შეჯიბრებას შრომის ნაყოფიერების შემდგომი გადიდებისათვის ახალი ტექნიკის დანერგვისა და სრული ათვისების საფუძველზე, გააძლიერებენ ბრძოლას მომჭირნეობის უმკაცრესი რეჟიმისათვის, უზრუნველჰყოფენ ნედლეულის, მასალების, სათბობის, ელექტროენერგიის მომჭირნეობით ხარჯვას, მიაღწევენ მოწყობილობის მაქსიმალურ დატვირთვას, ბოლოს მოუღებენ წარმოებაში უყაირათობისა და ზედმეტი ხარჯების ყველა შემთხვევას. ყოველი ლენინგრადელი — მუშა თუ მოსამსახურე, ინჟინერი თუ ტექნიკოსი — ღირსეულ ადგილს დაიკავებს ზეგეგმითი სოციალისტური დაგროვებისათვის, საბჭოთა სახელმწიფოს შემოსავლის განუხრელი ზრდისათვის, საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის შემდგომი აღმავლობისათვის ბრძოლაში.

700 მილიონი მანეთი იქნება ჩვენი დამატებითი წვლილი, შეტანილი საბჭოთა ეკონომიკის გაძლიერების საერთო-სახალხო საქმეში, რათა დაჩქარდეს კომუნიზმისაკენ ჩვენი ქვეყნის წინსვლის ტემპი.

პირობას გაძლევთ, ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძევ, რომ ქალაქ ლენინგრადისა და ლენინგრადის ოლქის მშრომელები, რომელთაც ლენინგრადის პარტიული ორგანიზაცია ხელმძღვანელობს, პირნათლად შეასრულებენ თავიანთ ვალდებულებებს სამშობლოს წინაშე.

სულით და გულით გისურვებთ ჯანმრთელობასა და დიდხანს სიცოცხლეს საბჭოთა ხალხისა და მთელი პროგრესული კაცობრიობის საკეთილდღეოდ.

გაუმარჯოს ჩვენს მძლავრ სოციალისტურ სამშობლოს!

გაუმარჯოს ჩვენი გამარჯვებების სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს — საკავშირო კომუნისტურ პარტიას (ბოლშევიკებისას)!

გაუმარჯოს ჩვენს დიდსა და ბრძენ ბელადს, მშობლიურ ამხანაგ სტალინს!

მიღებულია ქალაქ ლენინგრადისა და ლენინგრადის ოლქის მრეწველობის მუშაკთა თათბირზე 1948 წლის 22 სექტემბერს.

მოსკოვი, კრემლი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს გენერალისიმუს იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს

ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძევ!

მივიღე რა ცნობა დარჩენილი საბჭოთა ჯარების ჩრდილოეთ კორეიდან ევაკუაციის თაობაზე საბჭოთა მთავ... იქნებიან ამერიკის ჯარები, და, დასასრულ, საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილება დარჩენილი საბჭოთა ჯარების კორეიდან ევაკუაციის შესა... ვაც დაეხმარებით მას ეროვნულ და სუვერენულ უფლებათა დაცვაში, დახმარებას გაუწევთ მას კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის გან...

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე კიმ ირ სენი

ქ. ფხენიანი 1948 წ. 21 სექტემბერი.

სასოფლო-სამეურნეო გადასახადი ბიუჯეტის შემოსავლის დიდმნიშვნელოვანი წყაროა

საბჭოთა ხალხი ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით გმირულ ბრძოლას ეწევა ომისშემდგომი სტალინური ხუთწლედის ვადამდე განხორციელებისათვის. დღითიდღე იზრდება ქარხნების, ფაბრიკებისა და შახტების რაოდენობა, მატულობს სოფლის მეურნეობის სამრეწველო პროდუქციის გამოშვება. ჩვენს ქვეყანაში უდიდესი შემოქმედებითი მუშაობის დაფინანსება უზრუნველყოფილია სახელმწიფო სოციალისტური საწარმოებისაგან მიღებული განუწყვეტლივ მზარდი შემოსავლით. საწარმოების დაგროვება სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლის ძირითად წყაროს შეადგენს.

ამასთან ერთად სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავალში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ გადასახადები მოსახლეობიდან, მათ შორის სასოფლო-სამეურნეო გადასახადი. სასოფლო-სამეურნეო გადასახადის მნიშვნელოვანი ნაწილი შედის ადგილობრივ ბიუჯეტებში—სოფლად სკოლების, საბავშვო ბაღებისა და საბავშვო ბაგების, საავადმყოფოების, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების დასაფინანსებლად. ამგვარად, გადასახადი ხელს უწყობს სოფლის კულტურისა და კეთილდღეობის აღმავლობას და ბევრად განსაზღვრავს სოფლად კულტურული მშენებლობის წარმატებას.

საბჭოთა სახელმწიფოს საგადასახადო პოლიტიკა მიმართულია იქითკენ, რომ კოლმეურნეთა პირადი ინტერესები სწორად იქნას შეხამებული კოლმეურნეობებისა და სახელმწიფოს ინტერესებთან. კანონი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ ითვალისწინებს კოლმეურნეთა მხოლოდ პირადი მეურნეობის შემოსავლის დაბეგ...

„პრავდა“ 25/IX მოწინავე

„საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი“ გამოვიდა ლაისპის ხალხთა ენაზე

მახაჩ-ყალა, 24 სექტემბერი. (ტასსი).

ბოლშევიკურად ვიბრძოლოთ მეხილეობის ახალი აღმავლობისათვის

★

მოჩუქურთმული პრაქტიკოსი ვ. ზესტაფაფონი თავის ბაღდელ ნაკვეთში. ფოტო ვლ. გინზბურგისა

★

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე გორში მხოლოდ 470 ჰექტარი ხეხილის ბაღი იყო. როგორც მეურნეობის სხვა დარგებს, ისე მეხილეობასაც მზრუნველი და მოამაგე არ ჰყავდა.

ქართველის უზმოსაცვლად მიწაზე ხეხილის ბაღების გაშენებას განსაკუთრებული ყურადღება მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების წლებში მიექცა. მეხილეობის განვითარებისათვის დიდი მუშაობა გასწიეს კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა.

დიდი სამამული ომის წინ, 1941 წელს, ხეხილის ნარგავების საერთო რაოდენობამ 7.329 ჰექტარს მიაღწია. აქედან მარტო საკოლმეურნეო ბაღები 2.932 ჰექტარს შეადგენდა.

1941-1945 წლებშიც კი, როცა საბჭოთა კავშირის სამამული ომის ფრონტებზე მამაცურად იბრძოდნენ გორელებიც, არ შეწყვეტილა მეხილეობის შემდგომი განვითარებისათვის ზრუნვა. კოლმეურნეობებმა ახალი ბაღები გაამშენეს 696 ჰექტარზე, ხოლო კოლმეურნეებმა თავიანთ საკარმიდამო ნაკვეთებზე—550 ჰექტარზე.

ახალი ხუთწლიანი გეგმით სერიოზული ამოცანები დასახა გორის რაიონის მეხილეობის მუშაკთა წინაშე. მიმდინარე ხუთწლიდან კოლმეურნეობებმა ხეხილის ახალი ბაღები უნდა გააშენონ 388.5 ჰექტარზე, ხოლო კოლმეურნეებმა საკარმიდამო ნაკვეთებზე—114 ჰექტარზე. ამ საპატიო დავალების შესრულება წარმატებით მიმდინარეობს.

ამჟამად გორის რაიონში 9.300 ჰექტარი ხეხილის ბაღია. მიმდინარე წელს დაიწყო გარკვეული გარდატეხა ხეხილის ნარგავთა მოვლაში. ამან ნაყოფიერ საუსხო მოგვცა. გორელი კოლმეურნეები, რომლებიც თავდადებულად იბრძვიან ბელადისადმი მიცემული პირობის შესასრულებლად, წარმატებით ებრძვიან ხეხილის კრიფა-ფაბრიკავებისათვის. ისინი 2.500 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანენ 50 ცენტნერ ხილს.

1947 წლის დეკემბრიდან გორელი მეხილეები ჩაებნენ სოციალისტურ შეჯიბრებაში ხილის უხვი მოსავლის მოსაყვანად, აიღეს კონკრეტული ვალდებულებანი და მოწოდებით მიმართეს საქართველოს მეხილეობის რაიონების ყველა კოლმეურნეს, საბჭოთა მეურნეობის მუშაკსა და სპეციალისტს. გორელთა ინიციატივამ მხურვალე გამოხმაურება ჰპოვა.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მუშაკებთან ერთად გორელმა კოლმეურნეებმა გადადებული ვალდებულებანი იკისრეს დიდი სტალინისადმი გაგზავნილი წერილით.

ქვემოთ ვათავსებთ მასალებს, რომლებშიც მოთხრობილია გორის რაიონის მშრომელთა ბრძოლაზე ამხანაგ სტალინისათვის მიცემული სიტყვის შესასრულებლად, სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებათა განხორციელებისა და ბოლშევიკურად ვიბრძოლოთ ახალი აღმავლობისათვის.

პირობას შევასრულებთ

ჩვენს რაიონში მეხილეობის ნამდვილი აღმავლობა მხოლოდ საკოლმეურნეო წყობილების გამარჯვების შემდეგ დაიწყო. 1930 წელს ხეხილის ბაღები გაშენებული იყო 2.847 ჰექტარზე. ამჟამად მისი ფართობი 9.300 ჰექტარს აღწევს. აქედან მარტო კოლმეურნეობათა მფლობელ სარგებლობაშია 3.703 ჰექტარი ხეხილის ბაღი. საბჭოთა მეურნეობებს აქვთ—777 ჰექტარი ხეხილი. კოლმეურნეთა საკარმიდამო ნაკვეთებზე კი ხეხილის ნარგავები 4.300 ჰექტარს შეადგენს.

ჩვენს მეხილეობას სამრეწველო ხასიათი აქვს. ფართოდ არის გავრცელებული მთელ საბჭოთა კავშირში ცნობილი ჯიშები: ვეხური, შამპანური რენეტი, შაფრანი და სხვ.

რაიონის სოფლის მეურნეობის მოწინავეთა მიმართვამ, რაც მიღებულ იქნა გასული წლის დეკემბერში, მეხილეობის დარგის ყველა მუშაკს ენერგია გაუოორკეცა. ამხანაგ სტალინისადმი გაგზავნილ წერილში ნაკისრ გადიდებულ ვალდებულებათა შესასრულებლად ძარგაგდ ამოძრავდნენ დამამიანები. ხილის ბაღების მოვლაში გარდატეხა მოხდა. ბელადისადმი მიცემული სიტყვის შესასრულებლად რაიონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ფართოდ გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება.

პარტიის რაკომის ბიურო სისტემატურად იხილავს ხეხილის ბაღების მოვლა-პატრონობის შემდგომი გაუმჯობესების საკითხებს. კოლმეურნეობებში შემნილია მეხილეობის სპეციალური ბრიგადები და რგოლები, რომელთაც სერიოზული მოვალეობანი და პასუხისმგებლობა დაეკისრათ. საკოლმეურნო პირველად პარტიული ორგანიზაციები, კოლმეურნეობათა გამგეობებთან ერთად, შეუფლებულან ზრუნვავენ ხეხილის ბაღებზე. ისინი ხელმძღვანელობენ მეხილეობის ბრიგადებში შრომის მოწესრიგებას, ძალების უნარიანად განაწილებას, მორნინეთა გამოცდილების გავრცელებას.

ბაღების უკეთესად დამუშავება, ნიადაგის განაყოიერება, ნარგავების გასხვლა, მცენარეთა მავნებლებისა და ავადმყოფობათა წინააღმდეგ ბრძოლა — ეს საკვანძო საკითხები, რომელებსაც თავიანთ კრებებზე ხშირად იხილავენ პირველადი პარტიული ორგანიზაციები და კოლმეურნეობების წევრთა საერთო კრებები.

საქართველოს სსრ კოლმეურნე გლეხობისა და სოფლის მეურნეობის მუშაკების მიერ აბნანგ სტალინისათვის გაგზავნილ წერილში გორელმა კოლმეურნეებმა იკისრეს, რომ 2.500 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მიიღეს 50 ცენტნერ ხილს. ცალკეულმა კოლეკეურნეობებმა და მეხილეობის ბრიგადებმა კიდევ უფრო დიდი ვალდებულებანი იკისრეს. სოფელ ხელოვნების კოლმეურნეობა „გამთიდან-ზე“ ამბ. ა. კოჩუაშვილის მეხილეობის ბრიგადამ გააჩაღა ბრძოლა 8 ჰექტარ ფართობის თვითეულ ჰექტარზე 200 ცენტნერი ხილის მოსაღებად. ასეთივე ვალდებულება გასანაღებლად დარაზმა მეხილეობის ბრიგადის წევრები ბრიგადირმა ამბ. დ. ტორმაკოზაშვილმა.

სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლით, კოლმეურნეთა ძალების უნარიანად გამოყენებით წარმატებებსაც მოგვიწევთ. ხეხილის ნარგავთა მოვლა-დამუშავებაში აღკვეთილია ბიუროკრატული წესების დარღვევა, რასაც წინათ ჰქონდა ადგილი. წელს განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ნარგავების მთლიან დამუშავებას; სრულ წესრიგზეა მოყვანილი მთელი სარწყავი სისტემა; მებაღეობის მთელ რიგ კოლმეურნეობებში მოეწყო მარტივი ნაკელსაცავები; ამის შედეგად შემოდგომა-ზამთრის პერიოდში ნაკელი შეტანილ იქნა 1.490 ჰექტარზე გაშენებულ ხეხილის ბაღებში.

კოლმეურნე მებაღეები აქტიურად მონაწილეობენ ხეხილის მავნებლებისა და ავადმყოფობათა წინააღმდეგ ბრძოლაში. მათ ხეხილის კრონნი გაწმინდეს ბამბარი და დაიავადებული ტოტებისაგან, შეამბრეს გიფხიკეს შემბრალი ქერქი, ბოლმსა და მათ ახლო მდებარე ადგილებში შეაგროვეს და დაწვეს მავნებლების ბუდეები, 3.240 ჰექტარზე დაამთავრეს ხეხილის შეწამლვა ძაღის ხსნარით კეირტების გაღიეებამდე, ხოლო მინერალური ზეთოვანი ემულსიით შეწამლულ იქნა 2.460 ჰექტარი. ამრიგად დამდეგს 4.140 ჰექტარზე დამთავრდა ხეხილის შეამბრებისა და დედა ტოტების შეთეთრება კირის ხსნარით.

მოწონებეა ოგროტეენის მოთხოვნათა მტკიცედ გატარების შედეგი ახლა თვალსაჩინეა ჩანს: ხეხილის ჩიტებულად ასხია. მის მოსაკრეფად კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები ყოველმხრივ მზად არიან.

მიღწეულთან არ ვემაყოფილდებით. ჯერ კიდევ გვაქვს ნაკლოვანებანი ხეხილის ბაღების მოვლა-დამუშავებისა ამ საქმეში. ცალკეულ კოლმეურნეობებში ცალკე ანასაკმაო ყურადღებას აქცევენ ხეხილის ნარგავებს. სოფელ მეღვინეეკისს კოლმეურნეობა „ტრაქტორის“ წიოს 80 ჰექტარ ხეხილის ბაღეში არ ჩაუტარებია ხსნარით კომბინირებული წამლობა. სოფელ ტირონისს კოლმეურნეობა „კავკასიონზმი“ გაჯანიურეს ხეხილის სხვლა და დაუმუშავებლად დატოვეს ახალგაზრდა მსხმოიარე ნარგავებიი 20 ჰექტარი ფართობის. ხეხილის ბაღების მოვლას უდაოდ ეკოდ ეკოდ ოგროეთ სოფელ ფხვეინისს, ყველეკეულის და ჩარხისუბნის კოლეკეურნეობებში.

ცუდად მუშაობს სოფლის მეურნეობის მავნებელთა გამანადგურებელი გორის სამანქანო სადგური. სადგურს საკმარი რაოდენობით არა აქვს ტრაქტორები, არა ჰყავს სპეციალისტთა კადრები იმ რაოდენობით, რომ მებაღეობის ყველა კოლმეურნეობას მოემსახუროს.

გორის რაიონის ბოლშევიკები კოლმეურნეთა შორის მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის გაწევით განამტკიცებენ მებაღეობაში მიღწეულ წარმატებებს და სათავეში ჩაუდგებიან კოლმეურნეთა პატრიოტულ მოძრაობას მებაღეობის შემდგომი აღმავლობისათვის.

ი. ყუჯიაშვილი

საქართველოს კ. პ. (ბ) გორის რაიონის მდივანი

ჩვენი ღვიძლი საქმე

ხეხილის ბაღებს ჩვენს კოლმეურნეობაში 85,5 ჰექტარი უჭირავს. ამხანაგ სტალინისათვის გაგზავნილ წერილში ნაკისრი ვალდებულებათა შესასრულებლად თვალსაჩინო მუშაობა გავწიეთ — გაუთვალისწინა ხეხილის ბაღების მოვლა.

საქმე შრომის ორგანიზაციის მოწესრიგებით დავიწყეთ. დადგა კომპლექტები მეხილეობის სამი სპეციალური ბრიგადა და შეკმნილი 15 რგოლი. ბრიგადებსა და რგოლებში შეეფყვანეთ მებაღეობის სპეციალისტ მკოფლე 170 კოლმეურნე. თვითეულ მათგანს ცალ-ცალკე მივეჩინეთ მოსავლელად ნარგავთა ნაკვეთები. ხეხილის ბაღებში დროოულად განხორციელდა აგროტექნიკური ღონისძიებანი.

გაზაფხული და ზაფხული ოაძაბულ შრომაში გავიდა. ვასილ ჯაშვილის მეხილეობის ბრიგადა ყოველი ჰექტარიდან 80 ცენტნერი ხილისათვის იბრძოდა. ბრიგადის წევრთა მიერ გაწეული შრომა ნაყოფიერი გამოდგა. ამ ბრიგადის ხეხილის ბაღების ზოგიერთი ნაკვეთი ჰექტარზე 100 ცენტნერ ხილს მოგვცემს. ბაღების მოვლა-პატრონობის საქმეში წარმატებები მოიპოვეს აგრეთვე სანტრო მაისტრაძის და არჩილ მეცხვარიშვილის მეხილეთა ბრიგადებმა. ისინი თვითეულ ჰექტარზე 80-90 ცენტნერ ხილს მიიღებენ. 70 ჰექტარი მსხმოიარე ბაღიდან წელს ჩვენი კოლმეურნეობა სულ მცირე 4.000 ცენტნერ ხილს მიიღებს, ანუ თვითეული ჰექტარის საშუალო გამოსავლიანობა 70 ცენტნერს მიაღწევს, ნაკლებად 40 ცენტნერისა, რასაც ვეგეგმავთ ოთვალსაჩინოებ. ასე ვასრულებთ ჩვენ, დიდი ბელადისათვის მოცემულ პირობას. ხილიდან მიღებული ფულადი შემოსავალი მილიონ. მანეთი იქნება. ნაკისრი ვალდებულების შემსრულებელთა შორის არიან სტაახანოველი კოლმეურნეები: შაქრო ელიაშვილი, მარიამ გორგიშილი, გიორგი ბუდაე, ნათელა ბოორგიშვილი, ნიკოლოზ მახარაშვილი, თამარ ელიაშვილი და შუშანა ლოფაში.

მიმდინარე წელს ახალი ბაღი გავაშენეთ 5,5 ჰექტარზე, თუმცა ასეთი დავალება არა გვქონია. ახლა მეხილეობის ბრიგადები ეეზიდებიან ხილის კრეფისა და ბაღების სამზადოდ-საზამთრო სამუშაოების ჩატარებისათვის. ამჟამად ეაგრავეთ ნაკელსა და ნაცარს, რასაც შეეიტანთ ბაღებში.

მეხილეობა ჩვენი ღვიძლი საქმეა. ამ შეგებით მომავალშიც თავადადებულად ვიმუშავებთ, რათა ხეხილის ბაღები მუდამ სანიმუშო მდგომარეობაში გვქონდეს.

ვ. მეცხვარიშვილი

სოფელ მერეთის კოლმეურნეობა „წითელი მერეთის“ თავმჯდომარე

მიჩუქრინის მეთოდით

მრავალი წელია, რაც ხილისა და ყურძნის ახალი ჯიშების გამოყვანაზე ვმუშაობ. მინდა „კომუნისტის“ მკითხველებს ეუბნო ჩემი მუშაობის ზოგიერთი მომენტის შესახებ.

ჯერ კიდევ ცარიზმის ბატონობის შაგბნელ წლებში დიდი ეაიგაგლანით დაეგამთავრე თბილისის სასტოვლეელი. შემდეგ გავეცანი ბუნების, დიდი გარდამქმელის ივანე ვლადიმერის-ძე მიჩურინის მოძღვრებას. ამ მოძღვრებამ დამაყენა ნათელ გზაზე. ეუკვე მაშინვე დამებადა აზრი, რათა ძტკიცედ შემეშალა ხეხილის ახალი ჯიშების გამოყვანაზე. მთელი ჩემი ფიქრებით თავს დავტოვიდენ ატამსა და ყურძენსა, რომელიც ასე კარგად ხარობდა და ახლაც ხარობს ჩემს სამშობლო მხარეში—ატენის ხეობაში.

გავიდა დრო. ჩემს ფიქრებს ნელნელა ვახორციელებდი. ამ დროს სოფელ წეფილში დავაფუძნეთ ერთი ჰექტარი მიწა, სადაც ვეხანერა და ატამის ნარგავები ბალეშენე. ეუკვე 1912 წლიდან მიჩურინის მეთოდის გამოყენებით პრაქტიკულად შეეფდეკი ატამის ახალი ჯიშების გამოყვანასა, გაზაფხულზე გულდასმით შეეისწავლე ატამის მოსალოდნელი ახალი ჯიშის შობლების როგორც დადებითი, ისე უარყოფითი თვისებები, და მოვახდინე ამ ჯიშთა ხელოვნური დამტვერეა. „ხიდისთავეური ვარდისფერისა“ და ადგილობრივი „თეთრი სახრავის“ შეჯვარებიდან მეხუთე წელს მივიღე ატამის ახალი ჯიში, რომელსაც ახლა „ბესტავაშვილი № 1“ ჰქვია. ეს ჯიში ფაროდად გამოიყენება საკოსმეტიკო მრეწველობაში, წარმატებით ეუძლებს სხვადასხვა დაავადებას, ეტანს მორეულ მეზავრობას, ამასთან მსხვილნაყოფიერი და უხვმოსავლიანია. მისი თვითეული ნაყოფი 165 გრამს იწონის. ატამის ეს ჯიში გაშენებულია ბერშეეთის, ხიდისთავის, ატენისა და ქვემო ნიკოზის კოლმეურნეობებში. საერთოდ საქართველოში იგი გაშენებულია 15.000 ძირის რაოდენობით. შარშან გორის სასელექციო-საცდელ სადგურში „ბესტავაშვილი № 1“ 11.000 ძირის რაოდენობით დაამზენეს, წელს კი 10.000 ძირს ამყნენ.

მრავალი წლის განმავლობაში ვმუშაობდი საბჭოთა მეურნეობებში. ამის გამო საცდელ მუშაობას მხოლოდ დროგამოშვებით, თავისუფალ დროს ვატარებდი. მიუხედავად ამისა, 1932-1937 წლებში მაინც შევძელი გამომეყვანა ატამის სამი ახალი ჯიში: „წეფილური სახრავი“, „წეფილური სახლეში საგიანო“ და „წეფილური სახლეში საადრო“. ეს უკანასკნელი 15 აგვისტოს მწიფდება, ხოლო საგიანო—25 აგვისტოს; აღსანიშნავია, რომ „წეფილური“ ატამის შაქრიანობა 10,7 პროცენტს აღწევს.

1942 წელს მოეახდინე „ხიდისთავეური ყვითელი საგიანოსა“ და „ქართული ყვითელი სახრავის“ შეჯვარება. ხუთი წლის შემდეგ, 1947 წელს, ამ შეჯვარების შედეგად მივიღე ახალი ჯიშის ატამი „ყვითელი საგიანო“. ამ ჯიშის ნაყოფი თავის წინაპართან შედარებით ათი დღით ადრე მწიფდება. იმავე წელს გორის სასელექციო-საცდელ სადგურში მისცან სანიმუშოდ დაამზადეს მაღალხარისხოვანი კომპოტები. ამჟამად შეჯვარებული მაქვს ატამის ოთხი სხვადასხვა ჯიში.

მთელ ჩემს სასელექციო მუშაობას 0,75 ჰექტარზე ვატარებ. ბაშენებელია მაქვს ეაზი და ატამი. ატამის გარდა, ეუმუშაობ ეაზის ახალი ჯიშების გამოყვანაზეც. ჯიშთა შეჯვარებით მივიღე ყურძნის 24 სხვადასხვა ჰიბრიდი. მათ შორის საყურადღებოა საფერადთან შენაჯვარები ადგილობრივი თავკეერი, რომლიდანაც მიღებულ იქნა ჰიბრიდი ორსქესიანი ყვავილით. ეს ჯიში ხასიათდება უხვმოსავლიანობით. ზემოაღნიშნული 24 ჰიბრიდიდან ყურადღებას იქცევს: ეგრეთწოდებული თეთრებიდან 12 ჰიბრიდი, წითლებიდან კი 4 ჰიბრიდი. ისინი მსხმოიარენი არიან, მათზე დაკვირვებას აწარმოებენ სპეციალისტები. მე მწამს, რომ ამ ჯიშების გაშენება თავმისაგან შეიძლება საქართველოს მრავალ რაიონში.

უკეთესი მეცნიერების შერჩევა მათი სამეურნეო სასარგებლო ნიშანთვისებების მიხედვით, ხელოვნური დამტვერეა, მეცნიერთა აღზრდა მაღალ აგროტექნიკურ ფონზე—აი ის გზები, რითაც კარგი და სასურველი შედეგები მივიღე.

სასელექციო მუშაობის 36 წლის განმავლობაში მიმოყვანა ინ დასკვნამდე, რომ საცდელი მუშაობისათვის სხვა მრავალ ეარეშოებასთან ერთად საჭიროა ხელსაყრელი ნიადაგი და სათანადო ადგილმდებარეობა. ეს გაითვალისწინეს გორის რაიონის ხელმძღვანელებმა და შემიქმნეს ნაყოფიერი მუშაობის ყველა პირობა. მე მივიღე სამ ჰექტარიანი ნაკვეთი ხიდისთავში, სადაც ახალი ენერგიით გაზეგიარმან სასელექციო მუშაობას ჩვენი ღრმის დიდი ბიოლოგის ი. ვ. მიჩურინის მეთოდით.

უდიდესი კმაყოფილება მიგრძნობინა აკადემიკოს ტ. დ. ლისენკოს შესანიშნავმა მოხსენებამ „მდგომარეობა ბიოლოგიურ მეცნიერებაში“. მთელ ჩემს ეამოცელებასა და ენერგიას მოეახმარ მეხილეობაში ახალი, ძვირფასი ჯიშების გამოყვანას ჩვენი საშობლოს საკეთილდღეოდ.

ვასილ ბესტავაშვილი

კოლმეურნე-მებაღე

შეჯიბრების ინიციატორებთან

დიდგა ქართლის შემოდგომა. ხეხილის ბაღები სავსეა მწიფე ხილით. მნახველს სიამოვნებას ჰგვრის შეწოლილი ვაშლი თუ ატამი, ქარაფაფეთი მსხალი და ყურძენი. ამიტომ ეარგია. ბაყოფი ტკბეა. მებაღეები ფუფფუსებენ, ფიფქივნენ, ეკნერენ, ამზადებენ საწყობებსა და კალათებს, დანებსა და კიბეებს.

საამაყო წარმატებანი აქვს სოციალისტური შეჯიბრების ინიციატორებს. წელს მათ ერთიმეორეზე უკეთესად მოეარეს ხეხილის ნარგავებს. ბაღებს ყველგან კარგად ანსია.

— რომელ კოლმეურნეობაშია უკეთესი ხილი?—ძნელია ამაზე უცბად პასუხის გაცემა. აი, უკეთესთა შორის ერთი საუკეთესო—სოფელ კარბის კოლმეურნეობა „ახალი შრომა“. აქ 52 ჰექტარი ხეხილის ბაღიდან 30 ჰექტარი მსხმოიარეა. კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამბ. ზ. მარიამიძე გვიამბობს:

— ჩვენ წელს ვიკისრეთ 30 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მიგვეღო 120 ცენტნერი ხილი. პირობას პირნათლად ვასრულებთ. 30 ჰექტარიდან 3.600 ცენტნერ ხილს ვიკრეფთ.

პირობის შესასრულებლად კოლმეურნეებმა თავდადებულად იშრომეს. მთა მზრალად მოხნეს ხეხილის ნარგავების მთლიანი ფართობი, თვითეულ ძირს შემოუბარეს; ნარგავები გაზაფხულზე გასხლეს, ძირებს დაავადებული ქერქი შეაფხიკეს და კირის ხსნარით შეათეთრეს; მცენარეთა მავნებელების ბუდეები მთლიანად გაანადგურეს; მთელ ფართობში 520 ტონა ნაკელი შეიტანეს; ჩაატარეს გაზაფხულის ხსნარით წამლობა, რამაც საესებით მოსპო ხეხლოის მავნებელები. მებაღეებმა წარმატებით გამოიყენეს მეინარე ლიახვის სარწყავი არხი.

მეხლეობის ორ ბრიგადასა და რვა რგოლში 136 გამოჩეკ კოლმეურნეეი. ნაკისრ ვალდებულებათა გასანაღებლად ერთმანეთს ეჯიბრებიან ზონა მარიამიძისა და ვარლამ გელისაბეიდაშვილის ბრიგადები. ამს. გულისაბეიდაშვილის ბრიგადა 17 ჰექტარი ფართობის თვითეული ჰექტარიდან 150 ცენტნერ ხილს ამოელის.

მარო ხუბაშვილის რგოლმა თვითეულ ნარგაეზე 6-7 კილოგრამი სუპერფოსფატი შეიტანა, რასაც საუკეთესო შედეგი მოჰყვა: ნარგავთა ნაზარდი ორნერია, ნაყოფი ზმირი და მსხვილია. ფოთოლი შავ-მწვანედ იყურება.

გამოსაგარიშებელია, რომ წელს მიღებული ხილიდან ყარბის კოლეეეურნეობის ფულადი შემოსავალი 1 მილიონ 300 ათას მანეთს მიაღწევს. შრომადღის ხეეფი მათთან 18 მანეთამდე ვაიზრდება შარშანდელი 6 მანეთის ნაცვლად.

ხილის ფიდი მოსავალია ეარაინის მეხლეობის საბჭოთა მეურნეობაშიც. აქ ადგილდგილ ყურნ მოჭარაეთ ძველებურ სიმეერასს: „ბაეეიერე ეარაინი ეუტეეო და ეარაინიო“. რა ირონიულად ისმის ახლა ეს სიტყვები! ეარაინის მიდამოები ახლა ხეხილ დაეფარაეს. მხოლოდ ქარი ისევ ჰქრის, მაგრამ ეს უკვე ეაინა, სანეკეანო ქარია, ხეხილნარს რომ ეალერსებეს.

ეარაინის მეხლეობის საბჭოთა მეურნეობის ბაღები გადაშლილია 400 ჰექტარზე. აქ 42.000 ძირი ნარგავია. ოდესაც ვაშლის ნარგავეეს 325 ჰექტარი დაუკავეეთ, ყვითლად ჩამეეეეტეულ მსხლის ნარგავეეს—24 ჰექტარი.

ეარაინაშეეე ეარინ სოციალისტური შეჯიბრების ინიციატორები: ეჯიბრებიან ინანინ სომეხეთის სსრ ეემიალინის რაიონის № 9 მეხლეეეობის საბჭოთა მეურნეობას. წელს ეარაინელებმა საამბოლოს 3.850 ცენტნერი ვაშლი ეიღეთ მისცეს. საკმარისია შეხედოთ ეარაინის ბაღებს, და ეესათეოეი ეტყვეთ: დავალება შესრულდა! წელს საბჭოთა ოოქალაქის სუფრა ეარაინის ხილითაც დამშეედება.

სოფელ ქერეს სტალინის სახელობის კოლმეურნეობის ხეხლოის ბაღებში ვაშლი წითლად ფეოოაკანთებ. ქარაისფერი დაედო მსხალსაც. აეი თეალით არ ინახეთ ხიდისთავური ეარდისფერი ატამი.

ნაინ-ნაინი ნაყოფით მორთულ ბაღებში ერთმანეთს ესტეკეეეთ კოლმეურნენი: ფაილოოკ ქარხლის მიწა, ზრმმის ფასის დამდეგია... მეხლეეობის ბრიგადებში ისმის შეჯიბრებანი ინიციატორთა აღფრთოვანებეული სიტყვები: დიდი ბელადისადმი მიცემული სიტყვა მთლიანად შესრულდება,—გაბედეთ ხეხლოის ბაღებს — მოდის გორკული ხილი!

ს. ყუჩაშვილი

„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

განვამგკიცებთ მოკო

პარტიული ცხოვრება

სასწავლო წლის წინ

სექტემბრის პირველ რიცხვებში პარტიის ფოთის საქალაქო კომიტეტის პლენუმმა დასახა ღონისძიებანი ახალი სასწავლო წლის მომზადებულად შეხვედრისა და პარტიული განათლების ქსელში არსებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

განსაკუთრებული ყურადღება მიექცა პროპაგანდისტების შერჩევას და წრეებისა და სკოლების დაკომპლექტებას. ქალაქში აღრიცხულ იქნენ პროპაგანდისტები, რომელთაც სათანადო გამოცდილება ჰქონდათ. პროპაგანდისტებად წამოყენებულ იქნენ აგრეთვე მომზადებული ამხანაგები პარტიული აქტივიდან.

ამ დღეებში საქალაქო კომიტეტმა მოაწყო პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნების საქალაქო თათბირი, რომელზეც განმარტებულ იქნა ახალი სასწავლო წლისათვის მზადების კონკრეტული საკითხები.

წრეებისა და სკოლების სწორად დაკომპლექტების უზრუნველსაყოფად პარტიის საქალაქო კომიტეტმა პირველად პარტიულ ორგანიზაციებს მიამაგრა საქალაქო კომიტეტის მუშაკები, ლექტორები და პროპაგანდისტები. მათი დახმარებით პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა ეს მუშაობა უკვე დაამთავრეს.

ქალაქში შექმნილია 30 პოლიტსკოლა, პარტიის ისტორიის შემსწავლელი 20 წრე, მათ შორის ორი უმაღლესი რგოლისათვის, და ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის ბიოგრაფიების შემსწავლელი 3 წრე. ამ წრეებში და სკოლებში ჩაბმულია ათასზე მეტი კაცი.

ორჯონიკიძის სახელობის ქარხნის, წისქვილკომბინატის, ნავსადგურის, რკინიგზის კვანძის, საქვაჰრობის ფოთის განყოფილების, ქალაქის საბჭოს აღმასკომის და მაცივრის პირველადი პარტორგანიზაციები კარგად ემზადებიან მეცადინეობის დაწყებისათვის. აქ პროპაგანდისტებად გამოყენებული არიან მომზადებული ამხანაგები — საქალაქო კომიტეტის მუშაკები, პლენუმის წევრები და სხვა აქტივისტები. ქალაქის საბჭოს აღმასკომის პარტორგანიზაციასთან საშუალო რგოლისათვის ჩამოყალიბებულ პარტიის ისტორიის შემსწავლელ წრეს ხელმძღვანელობს პარტკაბინეტის კონსულტანტი ამხ. ვ. ცომაია, საქვაჰრობის პარტორგანიზაციასთან შექმნილ წრეს — საქალაქო კომიტეტის ლექტორი ამხ. შ. შულაია. პროპაგანდისტებად მუშაობენ აგრეთვე საქალაქო კომიტეტის ინსტრუქტორები — მ. გუგუნავა, შ. ხორავა, კლ. მიქავა, ს. მექვაბიშვილი, საქალაქო გაზეთ „მგზნებარე კოლხიდელის“ მუშაკები შ. ფარღალავა, ნ. ცხადაია და სხვ.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მითითების შესაბამისად კვირაში ორჯერ ეწყობა პროპაგანდისტთა სემინარები, რომლებიც შექმნილია წრეების ტიპების მიხედვით. უკვე ჩატარებულია 6 მეცადინეობა. სემინარებზე პროპაგანდისტები სწავლობენ მეცადინეობის მეთოდიკას, ეცნობიან წრეების სასწავლო გეგმას, ამუშავებენ თეორიული ხასიათის თემებს, რაც ამაღლებს მათი საერთო მომზადების დონეს. მეცადინეობანი მოეწყო შემდეგ თემებზე: „საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორია მარქსიზმ-ლენინიზმის მოქმედებაში“, „ბრძოლა სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის შექმნისათვის რუსეთში (1883-1901 წლები)“, „წრის ამოცანები, სასწავლო გეგმა და მუშაობის ორგანიზაცია“, „პროპაგანდისტის მომზადება მეცადინეობისათვის“, „წიგნზე მუშაობის მეთოდები“, „წრეში მეცადინეობის ჩატარების მეთოდიკა“ და სხვ.

ქალაქის პარტკაბინეტში თემების მიხედვით მოწყობილია ლიტერატურის გამოფენა.

პროპაგანდისტებისადმი დახმარება შემდეგში კიდევ უფრო გაძლიერდება. განზრახულია მოეწყოს ლექციები და მოხსენებები, ექსკურსიები, წრეების სანიმუშო მეცადინეობანი, გამოცდილების გაზიარების მიზნით წრეებისა და სკოლების მეცადინეობაზე პროპაგანდისტთა ურთიერთ დასწრება და შედეგების განხილვა პროპაგანდისტთა თათბირებზე.

ამჟამად გაცხოველებული მუშაობა მიმდინარეობს სახელმძღვანელოებისა და სასწავლო ნივთების მოსამარაგებლად.

ი. წურწუმია

საქართველოს კ. პ. (ბ) ფოთის საქალაქო კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე

პარტბიურო კარგად ხელმძღვანელობს პარტგანათლების საქმეს

პარტიული განათლების ქსელში ახალი სასწავლო წლისათვის მზადებას ტრამვაი-ტროლეიბუსების სამმართველოს პარტიული ორგანიზაცია ჯერ კიდევ აგვისტოში შეუდგა. პარტბიუროს მიერ 25 აგვისტოს დასახულ ღონისძიებაში მოცემულია კონკრეტული პროგრამა სამმართველოს პარტორგანიზაციის მუშაობისა კომუნისტების პოლიტიკური განათლების დარგში.

როგორ შეუდგნენ ამ ღონისძიების განხორციელებას? წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავეთა სიები ხელახლა გადასინჯეს, ასწონ-დასწონეს განვლილი მუშაობის შედეგები. ტრამვაი-ტროლეიბუსების სამმართველოს პარტბიუროს მდივანი ამხ. ვ. ბერუჩაშვილი საამქროს პარტბიუროს მდივნებთან ერთად ინდივიდუალურად ესაუბრა თითოეულ კომუნისტს. გამორკვეულ იქნა მათი თეორიული მომზადების დონე, ვინ ისწავლის დამოუკიდებლად, ვინ რა სახის წრეში გაერთიანდება. აღსანიშნავია, რომ კომუნისტების მნიშვნელოვანმა ნაწილმა გამოსთქვა წრეში გაერთიანების სურვილი. ეს იმით არის გამოწვეული, რომ მათ დაბალი განათლება აქვთ გამოცდილებამ ისინი დაარწმუნა, რომ წიგნზე დამოუკიდებლად მუშაობა ჯერ არ შეუძლიათ.

შექმნილია 7 წრე, რომლებშიც 355 კომუნისტიდან 164 ამხანაგია გაერთიანებული. ამ წრეებიდან სამი პარტიის ისტორიის შემსწავლელთათვისაა (ორი ქართულ ენაზე იმეცადინებს, ერთი — რუსულ ენაზე). 4 პოლიტსკოლიდან ორი ქართულ ენაზე იმეცადინებს, ორი კი რუსულ ენაზე. წრეები ძირითადად სწორად დააკომპლექტეს.

პარტიულ ორგანიზაციაში მრავლად არიან კომუნისტები, რომლებიც თანმიმდევრულად იმაღლებენ იდეურ დონეს, გულმოდგინედ სწავლობენ მარქსისტულ-ლენინურ თეორიას პირველწყაროების მიხედვით. ამიტომ გახდა შესაძლებელი, რომ შვიდივე წრის პროპაგანდისტი ადგილზე გამონახა. ესენი არიან უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტები — აქტივისტი კომუნისტები: სამმართველოს მთავარი ინჟინერი ალ. ქაჯაია, ხაზ-ლიანდაგის სამსახურის უფროსის მოადგილე ინჟინერი გ. დავითოვი, ვაგონშემკეთებელი სახელოსნოების მთავარი ინჟინერი გ. როხვაძე, ინჟინერი ე. ქათამაძე, ელექტრო დარგის უფროსი ინჟინერი შ. ურთქმელიძე, ვაგონშემკეთებელი სახელოსნოების ტექნიკური განყოფილების გამგე ინჟინერი ს. ულიბეკოვი და სატვირთო სამსახურის უფროსის მოადგილე ს. მეგენეიშვილი. ამათგან უმრავლესობას პროპაგანდისტული მუშაობის მრავალი წლის გამოცდილება აქვს. აღნიშნული ამხანაგები რაიკომის ბიურომ უკვე დაამტკიცა პროპაგანდისტებად და პროპაგანდისტთა სემინარში მეცადინეობასაც შეუდგნენ.

პარტიის ისტორიის შემსწავლელი წრის მსმენელები მომარაგებული არიან სახელმძღვანელოებით, უზრუნველყოფილი არიან სასწავლო ნივთებით, დამხმარე ლიტერატურითა და თვალსაჩინო მასალებით. სამეცადინეო ოთახები ყველა წრისათვის არის გამოყოფილი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ წრეებისათვის არ არის საკმარისი სსრ კავშირისა და მსოფლიოს პოლიტიკური რუკები. პოლიტსკოლის მსმენელებისათვის ჯერ მიღებული არ არის პროგრამები და სხვ.

ახალი სასწავლო წლისათვის წრეების მომზადება მაინც არ ნიშნავს ყველაფრის გაკეთებას. კომუნისტების პოლიტიკური განათლების ძირითად მეთოდად კვლავ წიგნზე დამოუკიდებელი მუშაობა რჩება. სამმართველოს პარტბიუროს და საამქროს პარტიულ ორგანიზაციებს ამ დარგშიც დიდი მოვალეობა აკისრიათ. ახლა უკვე დაზუსტებულია დამოუკიდებელი მეცადინეობის გზით მარქსისტულ-ლენინური თეორიის შემსწავლელთა სიები. მათ დასახმარებლად საამქროების მიხედვით გამოყოფილია 6 კონსულტანტი, რომელთაც კომუნისტების გარკვეული ჯგუფი ჰყავთ მიმაგრებული. პარტბიურო ხშირად იწვევს კონსულტანტების თათბირებს გამოცდილების გაზიარების მიზნით. ამავე დროს იხილავს ცალკეულ საამქროებში საკონსულტაციო მუშაობის მდგომარეობის საკითხებს. თვით კონსულტანტებს მუშაობაში ეხმარება რაიკომიდან მიმაგრებული ამხ. ნ. შანიძე.

გულმოდგინედ მუშაობს წიგნზე მრავალი ტრამვაელი კომუნისტი, რომელთა მიმართ კონტროლსა და დახმარებას დღითიდღე აუმჯობესებს სამმართველოს პარტიული ბიურო.

ე. ხუნდაძე

საღამოს პარტიული სკოლის გამოშვება

ამბროლაური. (საკ. კორ.). მუშაობა დაამთავრა საქართველოს კ. პ. (ბ) ამბროლაურის რაიკომთან არსებულმა პარტიულმა სკოლამ, რომელშიც 23 კაცი სწავლობდა.

სკოლაში შესწავლილ იქნა საბჭოთა ეკონომიკის საკითხები, საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი, პარტიული და საბჭოთა მუშაობის საკითხები, სსრ კავშირისა და უცხოეთის ქვეყნების გეოგრაფია. სკოლა ყველა მსმენელმა დაამთავრა.

საპროგრამო მასალის შეთვისების მაღალი დონე გამოამჟღავნეს პ. ნეფარიძემ, შ. კიკვიძემ, ი. კობახიძემ, ქ. ტურძილაძემ, ე. ნეფარიძემ, თ. უთმელიძემ და სხვ.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მესამე სესია

საერთო დისკუსიის დასაწყისი

პარიზი, 23 სექტემბერი. (ტასსის სპეც. კორ.). დღეს სესიის დილის პლენარულ სხდომაზე დელეგატების რწმუნებათა შემმოწმებელი კომისიის მოხსენების შემდეგ, რაც გააკეთა კომისიის თავმჯდომარემ უკრაინის სს რესპუბლიკის დელეგატმა ტარასენკომ, დაიწყო საერთო დისკუსია.

კამათში პირველი გამოვიდა ფილიპინების დელეგატი რომულო. თავისი სიტყვა მან იმით დაიწყო, რომ მეტად მუქი ფერებით დაასურათა ახლანდელი საერთაშორისო მდგომარეობა. რომულომ მოუწოდა პატარა სახელმწიფოთა წარმომადგენლებს იკისრონ როლი „მესამე ძალისა“, რომელსაც, მისი სიტყვით, შეეძლება გამოიყენოს ზნეობრივი ავტორიტეტი და „მშვიდობისაკენ გადახაროს სასწორი“. რომულოს ეს მოწოდება სრულიად ყალბად გაისმა, რამდენადაც კარგად არის ცნობილი, რომ პრაქტიკულად ფილიპინების დელეგატი სრულიადაც არ განირჩევა დამოუკიდებლობით. იგი ვაშინგტონის ნაკარნახევი პოლიტიკის მხოლოდ ერთ-ერთი ერთგული შემსრულებელია.

რომულომ ამჯერადაც გამოიყენა შესაძლებლობა და ქათინაურით მიმართა შეერთებულ შტატებს. მან განაცხადა, თითქოს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ მსოფლიოს დაანახვა „უაღრესი დიდსულოვნების აქტი“, როცა წინადადება შეიტანა ატომის ენერგიისადმი საერთაშორისო კონტროლის დაწესების შესახებ. ამავე დროს ცნობილია, რომ ნამდვილად ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა ყოველნაირად უშლის ხელს ატომური იარაღის აკრძალვის პრაქტიკულად განხორციელებას. რომულომ აზრი გამოსთქვა იმის სასარგებლოდ, რომ შეიქმნას „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პოლიციური ძალები“, რომლისოდაც, მისი სიტყვით, გაერთიანებული ერების ორგანიზაციას არ ძალუძს განახორციელოს დასახული მიზნები. შემდეგ რომულო ზოგადად შეეხო მთელ რიგ საკითხებს, რომლებიც ეკონომიური და სოციალური საბჭოს და სამეურვეო საბჭოს პრაქტიკას შეეხება, და თავისი სიტყვა მშვიდობიანი თანამშრომლობის დამყარებისაკენ საერთო მოწოდებით დაამთავრა.

შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციის მეთაურმა ჯ. მარშალმა. მან თავისი სიტყვის დასაწყისში სურვილი გამოსთქვა, რომ გენერალურმა ასამბლეამ დაადასტუროს, რომ იგი პატივსა სცემს ადამიანის უფლებებსა და ძირითად თავისუფლებებს და მზად არის ახალი სიმტკიცით განავითაროს და დაიცვას ეს უფლებანი და თავისუფლებანი. „ადამიანის ძირითად უფლებათა სისტემატური და განზრახ დარღვევა უდევს საფუძვლად მეტ წილს ჩვენს უსიამოვნებას და საფრთხეს უქმნის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მუშაობას“,—სთქვა მარშალმა. ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის ამ განცხადებას არ შეეძლო ბევრ მსმენელში არ გამოეწვია მოგონება იმის შესახებ, თუ ამჟამად რა უხეშად ირღვევა ადამიანის ძირითადი უფლებები შეერთებულ შტატებში, სადაც აშკარად ხორციელდება რასობრივი დისკრიმინაცია, სადაც ადამიანებს საპყრობილეში სვამენ იმისათვის, რომ ისინი უარს ამბობენ ჩვენება მისცენ ყბადაღებულ „არაამერიკული აქტივობის გამომკვლევ კომისიას“, რომელიც პატიოსან ადამიანებს სდევნის, სადაც უფრო და უფრო ფართოდ ვრცელდება მმართველობის პოლიციური მეთოდები.

შეეხო რა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის მის მიერ წარმოდგენილი მოხსენებისათვის, მარშალმა მთელი რიგი ქათინაურები უძღვნა ლტოლვილთა დამხმარე ეგრეთწოდებულ საერთაშორისო ორგანიზაციას, საერთაშორისო სასურსათო და სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციას და მთელ რიგ სხვა სპეციალიზებულ საერთაშორისო დაწესებულებებს, რომლებიც პრაქტიკულად ახორციელებენ ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკის ინტერესთა სასარგებლო ხაზს.

მარშალმა სცადა გაემართლებინა ის ფაქტი, რომ ეგრეთწოდებული „ევროპის ეკონომიური აღდგენის გეგმა“ (მარშალის გეგმა) ხორციელდება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გვერდის ავლით. გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, სთქვა მან, იმისთვის როდია განკუთვნილი, რომ ხელი შეუშალოს სახელმწიფოთა ჯგუფების თანამშრომლობას საერთო მიზნებით, რომლებიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებას შეესაბამება.

მაგრამ ცნობილია, რომ პრაქტიკულად მარშალის გეგმას, რომლის მიზანია არა საერთაშორისო თანამშრომლობის განმტკიცება, არამედ გაერთიანებულ ერებს შორის გათიშვის გაღრმავება, საერთო არა აქვს რა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებით განსაზღვრულ მიზნებთან. შემდეგ მარშალმა მოუწოდა დელეგატებს ხელი შეუწყონ „მშვიდობისა და კეთილდღეობის აღდგენას“. მან აღიარა, რომ გასული წლის მანძილზე საერთაშორისო ვითარების დაძაბვამ იმატა, და სთქვა: „ჩვენ არ უნდა დავუშვათ, რომ უფსკრული უფრო ფართოვდებოდეს და უნდა გავაორკეცოთ მეცადინეობა, რათა საერთო საფუძველი გამოვნახოთ“. შემდეგ მარშალმა სთქვა, რომ შეერთებული შტატები თავის მხრივ „მზად არიან გამონახონ ყველა შესაძლებელი გზა, ყოველ შესაბამის ფორუმში, იმ პოლიტიკურ წინააღმდეგობათა კონსტრუქციული და მშვიდობიანი გადაჭრისა, რომლებიც ახლანდელ დაძაბულობასა და გაურკვევლობას ჰქმნიან“.

შეეხო რა საერთაშორისო პოლიტიკის კონკრეტულ საკითხებს, რომლებიც გადაწყვეტას ელიან, მარშალმა განაცხადა, რომ საჭიროა განხორციელდეს ყველა ღონისძიება, რათა მალე მიღწეულ იქნეს სამართლიანი სამშვიდობო მოწესრიგება იაპონიასა და გერმანიასთან, აღდგენილ იქნას პოლიტიკური და ეკონომიური თავისუფლება ავსტრიაში მის 1937 წლის ფარგლებში.

ყოველივე ეს იმგვარად ითქვა, რათა არავის ეფიქრა, რომ ამ საკითხთა გადაწყვეტა მხოლოდ და მხოლოდ იმის გამო ბრკოლდება, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა და მისი საგარეო პოლიტიკის ფარვატერით მავალი სხვა დასავლეთ სახელმწიფოთა მთავრობები აბრკოლებენ და საბოტაჟს უწევენ ომისშემდგომ სამშვიდობო მოწესრიგებას, რადგან შლიან საზავო ხელშეკრულებათა დადებას.

მერმე მარშალმა გამოაცხადა შემდეგი დებულებანი, რომლებიც, მისი აზრით, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მორიგ ამოცანებს შეადგენენ:

„1. პალესტინა, რომელიც, თავისუფალი იქნება განხეთქილებისაგან და განხეთქილების საფრთხისაგან ისე, რომ როგორც ებრაელთათვის, ისე არაბებისათვის უზრუნველყოფილ იქნას მშვიდობიანი განვითარება, რასაც ითვალისწინებს გენერალური ასამბლეისა და უშიშროების საბჭოს მოქმედება; შეიარაღებული ძალების სწრაფი დემობილიზაცია, რაც შესაძლებელს გახდის, რომ პალესტინაში მშვიდობიან პირობებსა და ნორმალურ ცხოვრებას დაუბრუნდნენ; რეპატრიაცია ლტოლვილებისა, რომლებსაც სურთ დაბრუნდნენ და თავიანთ მეზობლებთან იცხოვრონ; ეკონომიური დახმარება ებრაელებისა და არაბებისათვის, რათა აღდგენილ იქნას მათი ეკონომიური კეთილდღეობა; ტრანსიორდანიისა და ისრაელის სახელმწიფოს მიღება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრებად.

2. გაერთიანებული და დამოუკიდებელი კორეა, რომელიც მიღებულ იქნება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრად და იმოქმედებს კონსტიტუციის თანახმად, რომელსაც ეყოლება თვით კორეელების მიერ არჩეული მთავრობა და მიიღებს ეკონომიურ და პოლიტიკურ დახმარებას, რაც მისთვის საჭირო იქნება, როცა ახალი ცხოვრების გზას დაადგება, როგორც კორეელი ერი.

3. საბერძნეთი, რომლის უშიშროებაც უზრუნველყოფილი იქნება აგრესიისა და გარედან უკანონო ჩარევისაგან, საბერძნეთი, რომელიც მოაწესრიგებს თავის პოლიტიკურ ცხოვრებას დემოკრატიული გზით და კანონის პატივისცემით; საბერძნეთი, რომელსაც უნარი ექნება აღადგინოს თავისი ეკონომიკა და თავის ხალხს მიანიჭოს ნორმალური ცხოვრების ელემენტარული პირობები, რაც მას არ გააჩნდა ესოდენ დიდი ხნის მანძილზე.

4. მოწესრიგება ინდონეზიაში მოლაპარაკების გზით, კვლავ სისხლის დაუღვრელად, რენვილის შეთანხმების ფართო დებულებათა შესაბამისად, რომელიც ითვალისწინებს როგორც ინდონეზიის ხალხთა სანუკვარ სუვერენულ დამოუკიდებლობას, ისე თანამშრომლობის განგრძობას ამ ხალხებსა და ნიდერლანდელ ხალხს შორის.

5. განგრძობა შუამავლობისა და მოლაპარაკებისა დიდ ერებს—ინდოეთსა და პაკისტანს შორის ქაშმირის შესახებ, რათა სამშვიდობო მოწესრიგების პროცესი დამთავრდეს იმ საკითხის გადაწყვეტით, რომელსაც შეიძლება დიდი საშიშროებანი მოჰყვეს.

6. მალე მიღება ატომის ენერგიისადმი კონტროლის საერთაშორისო სისტემისა, რომელიც ითვალისწინებს ეროვნული შეიარაღებიდან ატომური იარაღის ამოღებას, ატომის ენერგიის მხოლოდ მშვიდობიანი მიზნებისათვის განვითარებას და ყველა ერის მიერ კონტროლის საჭირო საერთაშორისო ღონისძიებათა შესრულების უზრუნველყოფას.

7 დარღვევისაგან შესაბამისი და საიმედო გარანტიის დროს—შეიარაღების პროგრესული შემცირება იმდენად ჩქარა, რამდენადაც ამას შესაძლებელს გახდის პოლიტიკური ნდობის აღდგენა“.

ძნელი არ არის იმის დანახვა, რომ ეს დებულებანი მეტად ზოგადი, განყენებული ხასიათისაა და იმდენი შენიშვნა აქვს გაკეთებული, რომ ფართო შესაძლებლობას იძლევა ისეთი მოქმედებისათვის, რასაც პრაქტიკულად შეუძლია გამოიწვიოს სულ საწინააღმდეგო და არა ის შედეგები, რომლებიც ამერიკის დელეგატმა გამოაცხადა.

ამერიკის დელეგაციასთან ახლომდგომ წრეებში დღეს ყოველნაირად აქებდნენ მარშალის გამოსვლას, როგორც „შემარიგებელს“ მაგრამ ყველაზე ფხიზელი მიმომხილველნი იმ აზრისა არიან, რომ ეს გამოსვლა მხოლოდ მოფიქრებული მანევრია, რომელსაც პირდაპირი კავშირი აქვს შეერთებულ შტატებში გაჩაღებულ წინასაარჩევნო კამპანიასთან. ამჟამად ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტისათვის მეტად სასურველია თავისი საგარეო პოლიტიკა კარგად მოაჩვენოს ამომრჩევლებს. მაგრამ საეჭვოა არსებობდეს იმის საფუძველი, რომ თავი მოვიტყუოთ, თუ რა არის ამ პოლიტიკის ნამდვილი შინაარსი. შემთხვევითი როდია, რომ მარშალმა თავისი „თავშეკავებული“ სიტყვა, როგორც ამ სიტყვას ამერიკის დელეგაციასთან ახლომდგომ წრეებში უწოდებენ, დაამთავრა... ცუდად დაფარული მუქარით „უმცირესობის“ მიმართ, რომელიც უმრავლესობას არ ეთანხმება, და განცხადებით, რომ ამერიკის შეერთებული შტატები მნიშვნელოვან პრინციპებზე „კომპრომისს არ დათანხმდებიან“.

შემდეგ ვრცელი, კარგად დასაბუთებული სიტყვა წარმოსთქვა პოლონეთის დელეგაციის მეთაურმა მოძელევსკიმ, რომელმაც ანალიზი გაუკეთა საერთაშორისო მდგომარეობის უმნიშვნელოვანეს პრობლემებს და ცხადყო, თუ რა არის პოლიტიკური ვითარების დაძაბულობის ნამდვილი მიზეზები. მოძელევსკიმ აღნიშნა, რომ არის ცდები გაერთიანებული ერების ორგანიზაცია დაუმორჩილონ ერთი სახელმწიფოს ან სახელმწიფოთა ჯგუფის ინტერესებს და რომ სათანადო პატივისცემით არ ეკიდებიან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების პრინციპთა საფუძველზე მიღებულ გადაწყვეტილებებს. იმასთან დაკავშირებით, რომ გარკვეულ წრეებში ამ უკანასკნელ ხანს აყენებენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განსახილველად სამშვიდობო მოწესრიგების პრობლემათა გადაცემის საკითხს, პოლონეთის დელეგატმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეს პრობლემები შეიძლება სამართლიანად გადაწყდეს და კიდევაც უნდა გადაწყდეს მხოლოდ საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოში ოთხი სახელმწიფოს შეთანხმებულ გადაწყვეტილებათა საფუძველზე.

მოძელევსკიმ დაჰგმო გერმანიის გათიშვის პოლიტიკა, რომელიც გამოცხადდა ლონდონში სამი დასავლეთი სახელმწიფოს წარმომადგენელთა სეპარატული მოლაპარაკების შედეგად და რომელსაც ისინი ამჟამად პრაქტიკულად ახორციელებენ. მან აღნიშნა, რომ დასავლეთი სახელმწიფოები ფაქტიურად რეაქციის ბასტიონად აქცევენ დასავლეთ გერმანიას. მოძელევსკიმ დასძინა, რომ იგივე პოლიტიკა, თუმცა ცოტა სხვა სახით, ხორციელდება ამჟამად იაპონიაში.

შემდეგ პოლონეთის დელეგატმა მთელი რიგი კონკრეტული მაგალითებით ცხადყო, თუ როგორ უწევენ საბოტაჟს გენერალური ასამბლეის იმ უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებათა შესრულებას, რომლებიც მიმართულია მშვიდობისა და უშიშროების საქმის განსამტკიცებლად. რეზოლუცია ომის გამჩაღებელთა წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ,—სთქვა მან,—რეალურად არ შესრულებულა. ატომის ენერგიის კომისიამ მუშაობა შეწყვიტა. ჩვეულებრივი შეიარაღების კომისიამ ვერავითარ შედეგს ვერ მიაღწია. „საკმარისია,—სთქვა მოძელევსკიმ,—ყურადღება მივაქციოთ დასავლეთ სახელმწიფოებში სამხედრო ბიუჯეტების ზრდას და უოლ-სტრიტის იმ ბანკირთა მოგების ზრდას, რომლებიც დაინტერესებული არიან შეიარაღების გადიდებით, რათა მივხვდეთ თუ რა მიზეზმა ჩაფუშა ამ კომისიების მუშაობა“.

პოლონეთის დელეგატმა აღნიშნა, რომ საქმიანობა ეგრეთწოდებული ბალკანეთის კომისიისა, რომელიც გენერალური ასამბლეის უმრავლესობამ შარშან შექმნა ბალკანეთის სახელმწიფოთა შინაურ საქმეებში ჩარევის მიზნით, მხოლოდ ხელს უწყობდა საბერძნეთში სამოქალაქო ომის გაღვივებას, და აზრი გამოსთქვა იმის წინააღმდეგ, რომ განხილულ იქნას ამ კომისიის მოხსენება. მან აღნიშნა, რომ საბერძნეთში მშვიდობის დამყარება შეიძლება მხოლოდ იქიდან ინგლისის ჯარების გაწვევისა და იმ დახმარების შეწყვეტის გზით, რასაც გარედან თავს მოხვეულ ტერორის რეჟიმს უწევენ, რომლის წინააღმდეგაც აჯანყდა ბერძენი ხალხი. მოძელევსკი მტკიცედ მოითხოვდა, რომ გენერალურ ასამბლეაში განხილულ იქნას ფრანკისტული ესპანეთის საკითხი, ამასთან აღნიშნა, რომ ამ საკითხზე ასამბლეის მიერ 1946 და 1947 წლებში მიღებული რეზოლუციები არ შესრულებულა.

მოძელევსკი შეეხო პალესტინის პრობლემას და განაცხადა, წარსულ სესიაზე მიღებული გენერალური ასამბლეის რეზოლუცია რომ შესრულებულიყო, ახლა პალესტინაში მშვიდობა იქნებოდა დამყარებული. მან აღნიშნა, რომ ამ რეზოლუციის შესრულება ჩაშალეს იმ სახელმწიფოებმა, რომლებიც იცავენ თავიანთ ეგოისტურ „ნავთის“ ინტერესებს.

მოძელევსკიმ აზრი გამოსთქვა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ისრაელის სახელმწიფოს მიღების სასარგებლოდ.

შემდეგ მოძელევსკი შეეხო მთელ რიგ მნიშვნელოვან ეკონომიურ და სოციალურ საკითხებს. მან ცხადყო ნამდვილი არსი „მარშალის გეგმისა“, რომელსაც საფუძვლად უდევს პოლიტიკური ფაქტორები და რომელსაც მოსდევს არა აღდგენა, არამედ ეკონომიური და პოლიტიკური დამონება იმ ქვეყნებისა, რომლებსაც ეს გეგმა ეხება. მოძელევსკიმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ „მარშალის გეგმა“, რომელიც შემუშავდა და ხორციელდება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ფარგლებს გარეთ, ევროპის დაყოფას იწვევს, და გაკვირვება გამოსთქვა იმის გამო, რომ გენერალური მდივნის მოხსენება ამ გეგმის მოწონებას შეიცავს.

თავისი სიტყვის დასასრულს პოლონეთის დელეგატმა დაჰგმო მუშაობა „სასესიათაშორისო კომიტეტისა“, რომელიც შექმნეს უშიშროების საბჭოში დიდ სახელმწიფოთა ერთხმივობის პრინციპის მოწინააღმდეგეებმა, რათა შესაძლებლობა მიეცეთ გვერდი აუარონ ხოლმე ამ პრინციპს მშვიდობისა და უშიშროების დაცვასთან დაკავშირებულ საკითხთა გადაწყვეტის დროს. მან გაილაშქრა იმის წინააღმდეგ, რომ ამ კომიტეტის მოხსენება განხილულ იქნას გენერალურ ასამბლეაში.

დღევანდელ დილის სხდომაზე უკანასკნელმა ილაპარაკა სირიის დელეგატმა ელ-ჰურიმ, რომელმაც თავისი სიტყვა უმთავრესად მიუძღვნა უშიშროების საბჭოში დიდ სახელმწიფოთა ერთხმივობის (ვეტო) პრინციპის წინააღმდეგ თავდასხმებს, რაც უკვე ტრაფარეტული გახდა ინგლის-ამერიკის ბლოკის წარმომადგენელთათვის.

საერთო დისკუსიის განგრძობა

პარიზი, 23 სექტემბერი. (ტასსის სპეც. კორ.). დღეს ნაშუადღევს გენერალური ასამბლეის პლენარულ სხდომაზე გამოვიდნენ ვენესუელისა და ეგვიპტის წარმომადგენლები.

ვენესუელის დელეგატმა ბლანკომ განაცხადა, რომ ერთადერთ საშუალებას მშვიდობის სიმტკიცისადმი რწმენის ჩასანერგავად წარმოადგენს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ფარგლებში საერთაშორისო თანამშრომლობის განმტკიცება, პატივისცემა როგორც დიდი, ისე პატარა ერების სუვერენული უფლებებისადმი. გაკვრით აღვნიშნავთ, რომ ამან ხელი არ შეუშალა ვენესუელის დელეგატს შეექო სასესიათაშორისო კომიტეტი, რომლის შექმნაც ეწინააღმდეგება საერთაშორისო თანამშრომლობის პრინციპებს.

ბლანკო შეეხო ასამბლეის წინაშე მდგომ ამოცანებს და აღნიშნა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ახალი წევრების მიღების საკითხები განხილულ უნდა იქნას წესდების შესაბამისად და რომ ამასთან წესდების დარღვევა დაშვებულ არ უნდა იქნას. შემდეგ ვენესუელის დელეგატმა განაცხადა, რომ მისი ქვეყნის ხალხისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს საკითხს ესპანეთში ფრანკოს ფაშისტური რეჟიმისადმი დამოკიდებულების შესახებ. „ვისაც სურს მეგობრობის ხელი გაუწოდოს ესპანეთის ფაშისტურ მთავრობას, მას სურს იყოს ესპანელი ხალხის მტერიც და ჩვენი ხალხის მტერიც“,—სთქვა ბლანკომ. დასასრულ მან მოუწოდა დელეგატებს თანამშრომლობისაკენ მტკიცე მშვიდობის დამყარებისათვის ბრძოლაში.

ეგვიპტის დელეგატმა ჰაშამ მწუხარება გამოსთქვა იმის გამო, რომ ეგვიპტის საკითხი დღემდე არ არის გადაჭრილი „ისე, როგორც ამის გაკეთება შეიძლებოდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მაღალ პრინციპებზე დაყრდნობით“. შემდეგ ეგვიპტის დელეგატი შეეხო პალესტინის პრობლემას და ცდილობდა გაემართლებინა არაბთა სახელმწიფოების პოზიცია, რომლებმაც ინტერვენცია მოაწყვეს ისრაელის სახელმწიფოს წინააღმდეგ.

პარიზის ბევრი გაზეთი აღნიშნავს, რომ დასავლეთი სახელმწიფოების წარმომადგენლები, კათოლიკურ გაზეთ „კრუას“ გამოთქმა რომ ვიხმაროთ, ცდილობენ გენერალურ ასამბლეაში „კარანტინის მსგავსი რაღაც“ შექმნან სსრ კავშირისა და აღმოსავლეთ ევროპის სხვა ქვეყნების წინააღმდეგ. მთელი რიგი გაზეთები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ინგლის-ამერიკის ბლოკის წარმომადგენელთა გამოსვლები გენერალურ ასამბლეაში ტენდენციური, ანტისაბჭოთა ხასიათისაა.

გაზეთი „ფიგარო“ კომენტარს უკეთებს გუშინდელ კამათს გენერალურ კომიტეტში და სწერს: „საბჭოთა დელეგატის თეზისი მიუვალი აღმოჩნდა სამართლის თვალსაზრისით და სპააკი უმალვე მიხვდა ამას. მან შეიტანა ისეთი ფორმულა, რომელსაც, მისი აზრით, შეუძლია ყველა დააკმაყოფილოს... მაგრამ ანტისაბჭოთა გამძაფრებამ ამ ასამბლეაში უკვე მიაღწია უმაღლეს წერტილს, ინციდენტები გამრავლდება და ამრიგად ნამდვილ პრობლემებს დამარხავს რამდენადაც საშიშ, იმდენადვე უსარგებლო შეტაკებათა ნიაღვრით“.

გაზეთი „ლიბერასიონი“ აღნიშნავს, რომ „ამერიკულ პრესას არასოდეს ისეთი დაჟინებით არ დაუმოწმებია ტეოდორ რუზველტის ცნობილი სიტყვები: „შენი აზრი რომ მოასმენინო, საჭიროა ნათლად ილაპარაკო და ხელში დიდი ჯოხი გეჭიროს“, როგორც ამჟამად. ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტთა შორის ყველაზე ენერგიული პრეზიდენტის ეს გახსენება წარმოადგენს რჩევას მარშალისათვის „ილაპარაკოს ნათლად და ხელში ჯოხი ეჭიროს“.

იგივე „ლიბერასიონი“ მარშალისადმი დაპირისპირებით ვიშინსკის გამოსვლას შემდეგი სიტყვებით ახასიათებს: „ვიშინსკიმ ყველა ტექსტი ზეპირად იცის და საკვირველი დაუღალავობით იყენებს. ვიშინსკი უსიამოვნო რამეებს გასაოცარი სიდინჯით ილაპარაკებს და არასოდეს არ გაჯავრდება. იგი არასოდეს არ აიქნევს ხელკეტს“. საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროსთან ახლო მდგომი გაზეთი „მონდი“ ფარისევლურად ამბობს, რომ მთელი მსოფლიო გააკვირვა „საბჭოთა კავშირისა და მისი მეგობრების სისტემატურმა ჩამოშორებამ“ ხელმძღვანელი პოსტებისაგან ასამბლეის სამუშაო ორგანოებში. „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეა პარიზში გაიხსნა მძიმე, რომ არა ვთქვათ, შფოთიან ვითარებაში“,—შენიშნავს „მონდი“.

პარიზი, 24 სექტემბერი. (ტასსის სპეც. კორ.). დღეს სესიის დილის პლენარულ სხდომაზე გრძელდებოდა საერთო დისკუსია. პირველმა სიტყვა მიიღო ბირმის დელეგატმა. მისი სიტყვა წარმოთქმული იყო უაღრესად ფრთხილი კილოთი. „ჩვენს ქვეყანაში არის ანდაზა,—სთქვა მან, — ჩვენ უნდა დაგვინახონ და არ მოგვისმინონო“. მაგრამ ბირმის დელეგატს არ შეეძლო არ შეხებოდა აზიისა და შორეული აღმოსავლეთის მთელ რიგ მწვავე პოლიტიკურ პრობლემებს. მან განაცხადა, რომ საჭიროა სრული დამოუკიდებლობა მიენიჭოთ ინდონეზიისა და სხვა ქვეყნების ხალხებს, რომლებმაც დაამტკიცეს თავისი მისწრაფება თვითმმართველობისადმი.

შემდეგ ბირმის დელეგატმა განაცხადა, რომ მის ქვეყანას, რომელიც განადგურდა იაპონური ოკუპაციის დროს, დღემდე არავითარი ეკონომიური დახმარება არ მიუღია, და აღნიშნა, რომ ბირმა იმედოვნებს მიიღოს რეპარაციები, რომელთა უფლებაც მას აქვს.

ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა ჩინეთის დელეგატმა ვან ში-ძემ. მან დაიჩემა აზიისა და შორეული აღმოსავლეთის ყველა ხალხის წარმომადგენლის როლი და შეეხო მეტად ბევრ საკითხს, დაწყებული კორეის დამოუკიდებლობისა და ქაშმირის გამო ინდოეთის და პაკისტანის კონფლიქტის პრობლემით და გათავებული აზიისა და შორეული აღმოსავლეთისათვის შექმნილი ეკონომიური კომისიისა და მისი ორგანოების, აგრეთვე ამერიკელების მიერ ამ კომისიისათვის თავსმოხვეული „წყალდიდობისადმი კონტროლის საკითხთა ბიუროს“ საქმიანობით. მაგრამ ნამდვილად ვან ში-ძე გამოვიდა არა როგორც კოლონიებისა და ნახევრადკოლონიების ხალხთა ინტერესების დამცველი, არამედ როგორც ადვოკატი კოლონიური სახელმწიფოებისა, რომლებიც ამ ხალხებს სძარცვავენ. ჩინეთის დელეგატი ყოველნაირად აქებდა „კორეის საკითხთა კომისიის“, ამ უკანონო ორგანოს საქმიანობას, რომელიც გენერალური ასამბლეის უმრავლესობამ შარშან შექმნა და რომელმაც ხელი შეუწყო კორეის გათიშვას. ამასთან ჩინეთის დელეგატმა ვერ მოითმინა, რომ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ არ გაელაშქრა.

ვან ში-ძე არანაკლები მგზნებარებით აქებდა ყბადაღებული „კეთილი სამსახურის კომისიის“ საქმიანობას, რომელმაც მოამზადა რენვილის შეთანხმება, რაც ზღუდავს ინდონეზიის რესპუბლიკის დამოუკიდებლობას და ინდონეზიის შემდგომი დამონების დიდ შესაძლებლობას აძლევს ჰოლანდიას.

ვან ში-ძემ ტრაფარეტულად გაილაშქრა დიდ სახელმწიფოთა ერთხმივობის პრინციპის წინააღმდეგ. მან განაცხადა, რომ ჩინეთის მთავრობა მხარს უჭერს ეგრეთწოდებული „სასესიათაშორისო კომიტეტის“ რეკომენდაციებს, რომელიც წინადადებას იძლევა შეიზღუდოს ამ პრინციპის გამოყენება.

შემდეგ გამოვიდა სამხრეთ აფრიკის კავშირის დელეგატი, რომელმაც თავისი სიტყვა მიუძღვნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და კერძოდ უშიშროების საბჭოს წინააღმდეგ გალაშქრებას. ამ გამოსვლის სარჩული ნათელი გახდება, თუ გავიხსენებთ, რომ გენერალური ასამბლეის მე-3 სესიის დღის წესრიგში, ისევე როგორც 1 და 2 სესიების დღის წესრიგში, შეტანილია საკითხი სამხრეთ აფრიკის კავშირში რასობრივი დისკრიმინაციის შესახებ. სამხრეთ აფრიკის კავშირის დელეგატმა თავის თავს ნება მისცა დამუქრებოდა გენერალურ ასამბლეას იმით, რომ სამხრეთ აფრიკის კავშირი შესაძლოა გაერთიანებული ერების ორგანიზაციიდან გავიდესო.

„თუ საქმე შემდეგშიც ასე წავიდა,—სთქვა მან,— მაშინ დაისმება საკითხი, შეესაბამება თუ არა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრობა სამხრეთ აფრიკის კავშირის ეროვნულ ინტერესებს“. ამ მუქარას არ შეეძლო არ გამოეწვია სხდომის ბევრი დამსწრის ირონიული ღიმილი.

დანიის დელეგატმა რასმუსენმა თავისი გამოსვლა ძირითადად ეკონომიურ საკითხებს მიუძღვნა. „მარშალის გეგმის“ ორბიტაში შემავალი ყველა ქვეყნის წარმომადგენლებისათვის ჩვეული ტრადიციით, მან თავისი სიტყვა დაიწყო ამ გეგმის ავტორისადმი მიმართული კომპლიმენტებით, მაგრამ დანიის წარმომადგენელს არ შეეძლო ანგარიში არ გაეწია იმ ფაქტისათვის, რომ ამ გეგმის განხორციელება იწვევს ევროპაში ნორმალური ეკონომიური ურთიერთობის დარღვევას. რასმუსენმა აღნიშნა, რომ აღმოსავლეთ და დასავლეთ ევროპას შორის საქონელგაცვლა შესამჩნევად შემცირდა, შეშფოთება გამოსთქვა ამის გამო და განაცხადა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ ყოველივე უნდა გააკეთოს იმისათვის, რომ აღდგენილ და განვითარებულ იქნას საქონელგაცვლა აღმოსავლეთ და დასავლეთ ევროპას შორის.

დანიის დელეგატმა აღნიშნა, რომ მის ქვეყანას დიდი ზარალი მოუვიდა იმის შედეგად, რომ ომის შემდეგ მის ტერიტორიაზე დიდხანს დატოვებულ იქნა მრავალი გერმანელი ლტოლვილი, რომლებიც ჰიტლერელებმა დანიაში შემოიყვანეს ომის დროს, მიუხედავად დანიის მთავრობის პროტესტებისა. ამ ლტოლვილთა

(დასასრული მე-4 გვერდზე)

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მესამე სესია

საერთო დისკუსიის განგრძობა

(დასასრული)

შენახვა დანიას 100 მილიონ დოლარზე მეტი დაუჯდა. გერმანელ ლტოლვილთა მნიშვნელოვანი რაოდენობა დღემდე დანიაშია.

თურქეთის დელეგატი სადაკი ისეთი მანერით გამოვიდა, რომელიც ვაშინგტონის მითითებათა ყველაზე ერთგულ შემსრულებელს სჩვევია. სადაკმა დაიკვეხნა, რომ თურქეთი „თავიდანვე ვეტოს წინააღმდეგი იყო", და გაილაშქრა უშიშროების საბჭოში დიდ სახელმწიფოთა ერთხმივობის პრინციპის წინააღმდეგ. მან ყველა ქვეყანას მოუწოდა „დასთმონ სუვერენიტეტის ნაწილი", აზრი გამოსთქვა იმის სასარგებლოდ, რომ შეიქმნას სისტემა „რეგიონალური პაქტებისა, რომლებიც გამოწვეულია ურთიერთუშიშროების ინტერესებით", და განაცხადა, რომ თურქეთში კეთილმოსურნედ ეკიდებიან „სრულიად ევროპის პარლამენტის" შექმნის იდეას. როგორც ცნობილია, გეგმები, რომელთაც მხარს უჭერს თურქეთის დელეგატი, წამოყენებულია ამერიკის რეაქციის აგენტების მიერ და მიმართულია იმისაკენ, რომ გაძლიერდეს ევროპის ქვეყნების პოლიტიკური და სამხედრო დამოკიდებულება ამერიკის შეერთებულ შტატებზე.

დილის სხდომაზე უკანასკნელი გამოვიდა ურუგვაის დელეგატი, რომელმაც ზოგადად გამოსთქვა აზრი იმის სასარგებლოდ, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ყველა წევრი პატივს სცემდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მითითებებს და იცავდეს ადამიანის უფლებებს. მან სურვილი გამოსთქვა, რომ გენერალური ასამბლეის ახლანდელმა სესიამ გამონახოს ატომის ენერგიისადმი კონტროლის სისტემა, რომელიც ყველა ქვეყნის ინტერესების შესაბამისი იქნება.

გენერალურ კომიტეტში

პარიზი, 23 სექტემბერი. (საკდესის სპეც. კორ.). გენერალურ კომიტეტში სესიის წინასწარი დღის წესრიგის განხილვის მსვლელობაში ჩილის დელეგაციამ სცადა გენერალური ასამბლეის ტრიბუნა საბჭოთა კავშირისადმი მტრული პროპაგანდისათვის გამოეყენებინა.

ჩილის დელეგაციამ წინასწარ დღის წესრიგში შეიტანა მაღალფარდოვანი სიტყვებით ჩამოყალიბებული საკითხი იმის შესახებ, თითქოს სსრ კავშირი „არღვევს ტრადიციულ დიპლომატიურ წესებსა და წესდების სხვა პრინციპებს". თავის დემაგოგიურ სიტყვაში, რომელიც შეზავებული იყო სსრ კავშირის წინააღმდეგ ცილისმწამებლური გამოხდომებით, ჩილის დელეგატი ცდილობდა გაეკრიტიკებინა საბჭოთა კანონები და, კერძოდ, კანონი უცხოელებთან დაქორწინების აკრძალვის შესახებ. ჩილის დელეგატი სჩიოდა: საბჭოთა მთავრობამ საზღვარგარეთ წასვლის ნება არ დართო საბჭოთა მოქალაქე ქალს, რომელიც ჩილის ელჩის ვაჟს მისთხოვდაო, და ცდილობდა საქმე ისე წარმოედგინა, თითქოს ამით დაირღვა „ტრადიციული დიპლომატიური წესები".

ამ ლათაიებს საკადრისი პასუხი გასცა საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა ვიშინსკიმ. მან გაიხსენა, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების გამოცემა უცხოელებთან დაქორწინების აკრძალვის შესახებ განპირობებული იყო იმ ფაქტით, რომ მთელ რიგ ქვეყნებში საბჭოთა მოქალაქეების მიმართ შექმნილია მტრული ატმოსფერო და არახელსაყრელი ვითარება საზღვარგარეთ მათი ცხოვრებისათვის. ეს კანონი გამოცემულია საბჭოთა მოქალაქეების დასაცავად. ზოგიერთმა საბჭოთა მოქალაქე ქალმა, რომლებიც უცხოელებს მისთხოვდნენ და საზღვარგარეთ წავიდნენ აღნიშნული კანონის გამოცემამდე, დიდი გაჭირვება და აბუჩად აგდება განიცადეს და იძულებული გახდნენ სამშობლოში დაბრუნებულიყვნენ. ამას ადასტურებენ ამ ქალების მთელი რიგი წერილები, რომლებიც პრესაში გამოქვეყნდა.

ვიშინსკი შეეხო ჩილის დელეგატის მსჯელობას იმის შესახებ, თითქოს სსრ კავშირი „ტრადიციულ დიპლომატიურ წესებს" არღვევდეს, და მოაგონა სხდომას, რომ ტრადიციული დიპლომატიური პრაქტიკა ითვალისწინებს, რომ დიპლომატიური იმუნიტეტი ვრცელდება მხოლოდ ელჩსა და მის არასრულწლოვან შვილებზე და რომ იმუნიტეტი სრულიადაც არ შეიძლება მიენიჭოს ელჩის ვაჟის ცოლს, მით უმეტეს, რომ იგი საბჭოთა მოქალაქეა.

ვიშინსკიმ ენერგიულად გაუსვა ხაზი იმ გარემოებას, რომ ამა თუ იმ კანონის გამოცემა მხოლოდ და მხოლოდ სახელმწიფოს საშინაო საქმეა და რომ ჩილის წინადადება წარმოადგენს წესდების მე-2 მუხლის მე-7 პუნქტის დარღვევას და სახელმწიფოს საშინაო საქმეებში ჩარევის ცდას.

ამ დებულების გაბათილება არავის არ უცდია. მიუხედავად ამისა, ჩილის დელეგაციის წინადადება დღის წესრიგიდან არ გამოურიცხავთ. გენერალურმა კომიტეტმა გადაწყვეტილება ჩილის დელეგატის მიერ აღძრული საკითხის დღის წესრიგში დატოვების შესახებ მიიღო ხმის უმნიშვნელო უმრავლესობით: ოთხმა დელეგაციამ თავი შეიკავა კენჭისყრაში მონაწილეობისაგან.

დღის წესრიგის განხილვა

პარიზი, 24 სექტემბერი. (საკდესის სპეც. კორ.). დღეს ნაშუადღევს გენერალური ასამბლეის პლენუმი შეუდგა დღის წესრიგის შესახებ გენერალური კომიტეტის რეკომენდაციების განხილვას. როგორც უკვე ვიუწყებოდით, ასამბლეის დღის წესრიგის პროექტში შეტანილია მთელი რიგი საკითხები, რომელთა დასმაც პირდაპირ ეწინააღმდეგება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების ძირითად დებულებებს. გენერალურ კომიტეტში საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა ა. ი. ვიშინსკიმ ამომწურავად დაამტკიცა, რომ არ შეიძლება ამ საკითხების დასმა გენერალური ასამბლეის განსახილველად, მაგრამ კომიტეტმა ამერიკის დელეგაციის ზეგავლენით ხმის უმნიშვნელო უმეტესობით გადაწყვიტა ურჩიოს ისინი პლენუმს.

დღევანდელ სხდომაზე საბჭოთა დელეგატმა ი. ა. მალიკმა წინადადება შეიტანა დღის წესრიგში არ შეეტანათ საკითხები, დაკავშირებულნი ეგრეთწოდებული „სასესიათაშორისო კომიტეტის", ეგრეთწოდებული „ბალკანეთის კომისიის" და ეგრეთწოდებული „კორეის საკითხთა კომისიის" მოხსენებათა განხილვასთან. ყველა ეს ორგანო ასამბლეის წარსულ სესიაზე შექმნილი იყო ამერიკის შეერთებული შტატების მორჩილი უმრავლესობის მიერ წესდების გვერდის ავლით და დარღვევით; მათი ამოცანები ეწინააღმდეგებიან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების პრინციპებსა და მიზნებს. საბჭოთა დელეგატმა წინადადება შეიტანა აგრეთვე — ასამბლეის დღის წესრიგში არ შეეტანათ ზოგიერთი საკითხი, რომლებიც პირდაპირ ითვალისწინებენ წესდების ახალ უხეშ დარღვევებს. კერძოდ, ი. ა. მალიკი მტკიცედ მოითხოვდა, რომ გენერალური ასამბლეის დღის წესრიგში შეტანილი არ ყოფილიყო არგენტინის დელეგაციის მიერ აღძრული საკითხი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში იმ სახელმწიფოთა მიღების შესახებ, რომლებმაც უშიშროების საბჭოში მიიღეს 7 ხმა, მაგრამ ამასთან ვერ შეაგროვეს უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრების ყველა ხმა, როგორც ამას წესდება მოითხოვს (წესდების მე-4 და 27-ე მუხლების თანახმად გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრად ყოველი სახელმწიფოს მიღება სწარმოებს უშიშროების საბჭოს რეკომენდაციით გენერალური ასამბლეის დადგენილებით, ხოლო უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებანი ყველა საკითხზე, გარდა პროცედურის საკითხებისა, მაშასადამე, ახალი წევრების მიღების საკითხზეც, — მიღებულად მხოლოდ იმ შემთხვევაში ითვლება, როცა მათ ხმა მისცა საბჭოს შვიდმა წევრმა, მათ შორის საბჭოს ყველა ხუთმა მუდმივმა წევრმა, რომელთა ხმებიც ერთმანეთს ემთხვევა).

ვერც არგენტინის დელეგატმა, რომელიც ორჯერ გამოვიდა თავისი წინადადების დასაცავად, ვერც იმათ, ვინც მას ზურგს უკან დგას, ვერ გააბათილეს საბჭოთა დელეგატის მოსაზრებანი.

ცხადი იყო, რომ ეს წინადადება წესდების აშკარა დარღვევას იწვევდა.

პოლონეთის, ბელგიის, პაკისტანის, საფრანგეთის წარმომადგენლებმა თავიანთ გამოსვლებში მხარი დაუჭირეს საბჭოთა დელეგაციის წინადადებას იმის შესახებ, რომ ეს საკითხი ასამბლეის დღის წესრიგში არ შეეტანათ. ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის წარმომადგენლებმა არგენტინის წინადადებას მხარი დაუჭირეს ხმის მიცემით, მაგრამ ვერ გაბედეს აშკარად გამოსულიყვნენ მის დასაცავად. როცა საქმე კენჭისყრაზე მიდგა, განმეორდა იგივე სურათი, რაც გუშინწინ ვნახეთ გენერალურ კომიტეტში: ასამბლეის პლენუმი გაითიშა. არგენტინის წინადადებას ხმა მისცა დელეგატთა მხოლოდ ნახევარმა ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლის მეთაურობით. 26 დელეგაციამ ან წინააღმდეგ მისცა ხმა, ან თავი შეიკავა. სამმა დელეგატმა გამოსცა შარშანდელი პრაქტიკა და „ფეხით მისცა ხმა", ე. ი. დარბაზი დასტოვა. დღის წესრიგიდან არგენტინის წინადადების მოხსნას ხმა მისცეს სსრ კავშირის, უკრაინის, ბელორუსიის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, იუგოსლავიის, ბელგიის, საფრანგეთის, დანიის, ნორვეგიის, შვეციის, კანადის, ეთიოპიის, პაკისტანისა და სხვ. დელეგაციებმა. თუმცა არგენტინის წინადადება ფორმალურად მიღებულად ითვლება, გენერალური ასამბლეის წრეებში არ მალავენ, რომ არგენტინის დელეგაციისა და იმათი ეს წარმატება, ვინც არგენტინის ზურგს უკან დგას, მეტი რომ არა ვთქვათ, საეჭვოა. ინგლის-ამერიკის ბლოკის წარმომადგენლებმა მექანიკურ უმრავლესობაზე დაყრდნობით მიაღწიეს იმას, რომ დღის წესრიგში შეტანილ იქნა მთელი რიგი სხვა საკითხები, რომლებიც ეწინააღმდეგებიან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების უმნიშვნელოვანეს პრინციპებს.

მაგრამ სხდომის დამსწრე საზოგადოებას არ შეეძლო არ შეენიშნა, რომ ეს გადაწყვეტილებანი ასამბლეას უხეში ზეგავლენის გზით მოახვიეს თავს. ეს ცხადი გახდა, კერძოდ, მაშინ, როცა კენჭი უყარეს ჩილის დელეგაციის წინადადებას, რომელმაც საბჭოთა კავშირისადმი მტრული პროპაგანდის მიზნით მოითხოვა გენერალურ ასამბლეაში იმ საკითხის განხილვა, რაც სსრ კავშირის საშინაო კანონმდებლობას ეხება. 28 დელეგაცია არსებითად უარყოფით მოეპყრო ამ წინადადებას: 7 დელეგაციამ სსრ კავშირის მეთაურობით ხმა მისცა ამ წინადადების წინააღმდეგ, 17 დელეგაციამ თავი შეიკავა, 4 დელეგაციას კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიუღია.

გენერალური ასამბლეის პლენუმზე დღეს მომხდარი კენჭისყრის შედეგების მიხედვით ერთგვარი ინტერესი ენიჭება მთელი რიგი ფრანგული გაზეთების გულახდილ განცხადებას, რომ ახლანდელი სესია, ისე როგორც შარშანდელი, მიმდინარეობს ამერიკის შეერთებული შტატებისაგან დამოკიდებული ქვეყნების წარმომადგენლებზე ამერიკის დელეგაციის აშკარა ზეგავლენის ვითარებაში. მაგალითად, გაზეთი „კომბა" დღეს სწერს, რომ „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ატმოსფერო მიუკერძოებელ მეთვალყურეს უფრო ამერიკული ეჩვენება, ვიდრე ინტერნაციონალური", და რომ „ვითარება, რომელშიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მუშაობა ჩაღდება, მეტად ხშირად ამჟღავნებს ანტისაბჭოთა მიმართულებას".

იაპონიის მრეწველობის განვითარების დონის საკითხისათვის

საბჭოთა წარმომადგენლის განცხადება შორეული აღმოსავლეთის კომისიის სხდომაზე

ვაშინგტონი, 24 სექტემბერი. (საკდესი). შორეული აღმოსავლეთის კომისია იხილავს იაპონიის მრეწველობის განვითარების დონის საკითხს. კომისიის სხდომაზე 23 სექტემბერს სიტყვა წარმოსთქვა საბჭოთა წარმომადგენელმა ამხ. პანიუშკინმა, რომელმაც შემდეგი განაცხადა საბჭოთა კავშირის პოზიციის შესახებ:

„იაპონიის მრეწველობის განვითარების დონის საკითხი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხია, რომელიც გადაწყვეტას მოითხოვს. იაპონიის მრეწველობის განვითარების დონის განსაზღვრა წინასწარ განსაზღვრავს იაპონიის მომავალ ეკონომიურ განვითარებას.

მაგრამ ამ საკითხის განხილვისას მხედველობაში უნდა მივიღოთ, თუ რომელი მრეწველობის განვითარებას ეხება საქმე. მრეწველობა შეიძლება მუშაობდეს ქვეყნის მშვიდობიანი დროის საჭიროების დასაკმაყოფილებლად. მაგრამ ცნობილია აგრეთვე, რომ მრეწველობა შეიძლება მუშაობდეს ომის მომზადების საქმისათვის, როგორც ეს იყო წინათ იაპონიაში.

ამიტომ თავიდანვე საჭიროა ეს საკითხი გარკვეულ იქნას და შემდეგ განისაზღვროს დამოკიდებულება იაპონიის მომავალი სამრეწველო წარმოების დონის შესახებ ამა თუ იმ წინადადებისადმი. ამასთან მხედველობაში უნდა იქნას მიღებული, რომ იაპონიამ უნდა დააკმაყოფილოს იმ სახელმწიფოთა კანონიერი პრეტენზიები რეპარაციებზე, რომლებიც იაპონიის აგრესიამ დაზარალა.

საბჭოთა მთავრობას მიზანშეწონილად არ მიაჩნია მოთხოვნა მომავლისათვის იაპონიის სამშვიდობო მრეწველობის განვითარების დონის შეზღუდვა. ასეთი მოთხოვნა ვერავითარ გამართლებას ვერ ჰპოვებს. იგი არ იქნება არც იაპონელი ხალხის ინტერესთა შესაბამისი, არც სხვა ქვეყნების და უწინარეს ყოვლისა აზიის იმ ქვეყნების ინტერესთა შესაბამისი, რომელთაც ეკონომიური ურთიერთობა ესაჭიროებათ იაპონიასთან.

იაპონიის მრეწველობის განვითარების მაღალი დონე თავისთავად საშიში არ იქნება, თუ იაპონიაში აღდგენილ არ იქნა სამხედრო მრეწველობა და მილიტარიზმი. იაპონიის მრეწველობა წარსულში იაპონიის აგრესიის ეკონომიური ბაზა იმიტომ კი არ იყო, რომ ამ მრეწველობამ განვითარების შედარებით მაღალ დონეს მიაღწია, არამედ იმიტომ, რომ მისი განვითარება დაუმორჩილეს ომის საჭიროებას.

იაპონიის მილიტარისტული წრეები, იაპონელი ხალხის სასიცოცხლო ინტერესების წინააღმდეგ, ისე წარმართავდნენ იაპონიის მრეწველობის და მთლიანად ეკონომიკის განვითარებას, რომ იგი გამოყენებულ იქნა არმიისა და ფლოტის საჭიროების დასაკმაყოფილებლად, ე. ი. ომის მომზადების საქმისათვის მუშაობდა. ასეთი მდგომარეობა შეესაბამებოდა იაპონიის აგრესიული წრეების ინტერესებს, რომლებიც ჰიტლერულ გერმანიას შეუკავშირდნენ და მიზნად დაისახეს დაემონებინათ სხვა ქვეყნები და ხალხები. მაგრამ, რასაკვირველია, ეს აღარ უნდა განმეორდეს მას შემდეგ, რაც მილიტარისტული იაპონია დამარცხდა და არსებობს შესაძლებლობა, რომ იაპონიის განვითარება დემოკრატიული და მშვიდობისმოყვარე გზით წარიმართოს. ახლა იმისათვის უნდა ვიზრუნოთ, რომ იაპონიის მილიტარიზმი არ აღორძინდეს და იაპონია კვლავ აღარ გადაიქცეს ომის საშიშროების კერად.

ამ ამოცანის გადაწყვეტის უზრუნველსაყოფად, იაპონიის მრეწველობის განვითარება უნდა დაექვემდებაროს იაპონელი ხალხის მხოლოდ სამშვიდობო საჭიროების დაკმაყოფილებას. თუ ამ ერთადერთ სწორ გზას დავადგებით, აშკარა გახდება იაპონიის სამშვიდობო მრეწველობის განვითარების შეზღუდვის მოთხოვნის უსაფუძვლობა.

იაპონიის სამშვიდობო მრეწველობის 1930-34 წლების დონემდე, ანდა უფრო მაღალ დონემდე განვითარება ხელს შეუწყობს იაპონიის მოსახლეობის მატერიალური კეთილდღეობის ამაღლებას, მოსახლეობისა, რომელიც კვლავ განიცდის იაპონელი მილიტარისტების დანაშაულებრივი ავანტიურისტული პოლიტიკის მძიმე შედეგებს.

მრეწველობის ასეთი განვითარება გააფართოებს იაპონიის საექსპორტო შესაძლებლობას, ხელს შეუწყობს მისი ეკონომიური დამოუკიდებლობის განმტკიცებას და შეასუსტებს იაპონიის ეროვნული ეკონომიკის გარეშე, მისი ინტერესებისათვის უცხო ფაქტორებისაგან დამოკიდებულებას.

გარდა ამისა, იაპონიის სამრეწველო ნაწარმის ექსპორტი ხელს შეუწყობდა, მაგალითად, ზოგიერთი აზიური ქვეყნის სათანადო საჭიროების დაკმაყოფილებას და იაპონიისათვის იქნებოდა წყარო მისთვის საჭირო ნედლეულისა და სხვა საქონლის იმპორტისა, რაც საჭიროა იაპონელი ხალხის მშვიდობიანი დროის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

აქედან ის გამომდინარეობს, რომ მოკავშირე სახელმწიფოთა ამოცანა უნდა იყოს იაპონიის სამშვიდობო მრეწველობის განვითარების არა შეზღუდვა, არამედ ის, რომ იაპონიაში არ განვითარდეს სამხედრო მრეწველობა და არ შეიქმნას იაპონიის მილიტარიზმისა და იაპონიის აგრესიის აღორძინების პირობები.

რასაკვირველია, იბადება კითხვა, რანაირად შეიძლება ამ ამოცანის გადაწყვეტის უზრუნველყოფა. საბჭოთა მთავრობა იმ აზრისაა, რომ ეს ამოცანა შეიძლება გადაწყდეს იმ შემთხვევაში, თუ იაპონიაში სათანადო კონტროლი დამყარდება განსაზღვრული პერიოდით, რათა არ აღსდგეს ან არ შეიქმნას იაპონიის სამხედრო მრეწველობა. ასეთი კონტროლის დამყარებით ყველა მშვიდობისმოყვარე სახელმწიფო უნდა იყოს დაინტერესებული.

რამდენიმე წლით დამყარებული ასეთი კონტროლი, რომელსაც განახორციელებენ იაპონიის ახალი აგრესიის დაუშვებლობით ყველაზე მეტად დაინტერესებული სახელმწიფოები, გათვალისწინებულ უნდა იქნას იაპონიასთან საზავო ხელშეკრულებით, რომლის მომზადებისა და დადების საკითხიც დიდი ხანია მომწიფდა.

ჩემ მიერ ჩამოყალიბებული პოზიციის შესაბამისად, საბჭოთა მთავრობის დავალებით, წინადადება შემომაქვს მიღებულ იქნას შემდეგი გადაწყვეტილებანი:

1. არ შეიზღუდოს აღდგენა და განვითარება იაპონიის სამშვიდობო მრეწველობისა, რომლის მიზანიც იქნება იაპონელი ხალხის საჭიროების დაკმაყოფილება, აგრეთვე ექსპორტის განვითარება იაპონიის სამშვიდობო ეკონომიკის საჭიროების შესაბამისად.

2. აიკრძალოს იაპონიის სამხედრო მრეწველობის აღდგენა და შექმნა. ამასთან რამდენიმე წლით დაწესდეს იმ სახელმწიფოთა კონტროლი ამ გადაწყვეტილების შესრულებისადმი, რომლებიც ყველაზე მეტად არიან დაინტერესებული იმით, რომ არ წარმოიშვას იაპონიის ახალი აგრესია".

გამოხმაურება საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილებაზე კორეიდან ჯარების გამოყვანის შესახებ

კორეა

ფხენიანი, 22 სექტემბერი. (საკდესი). ჩრდილოეთ კორეის ხალხი დიდი სიხარულით შეხვდა კორეის უმაღლესი სახალხო კრების მიმართვის პასუხად საბჭოთა მთავრობის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას ჩრდილოეთ კორეიდან საბჭოთა ჯარების გაყვანის შესახებ.

ფხენიანის რადიოს მოჰყავს ჩრდილოეთ კორეის მოსახლეობის სხვადასხვა ფენების წარმომადგენელთა გამოხმაურება. ისინი მადლობას უძღვნიან საბჭოთა მთავრობას ამ გადაწყვეტილებისათვის.

ამერიკის შეერთებული შტატები

ნიუ-იორკი, 22 სექტემბერი. (საკდესი). ამერიკის პრესამ თვალსაჩინო ადგილას გამოაქვეყნა ცნობა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებაზე ჩრდილოეთ კორეიდან საბჭოთა ჯარების ევაკუაციის შესახებ.

იუნაიტედ პრესის სააგენტო აცხადებს, რომ ამერიკელ ხელისუფალთ საბჭოთა გადაწყვეტილება ისეთ ნაბიჯად მიაჩნიათ, რომელმაც ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა ძნელ მდგომარეობაში უნდა ჩააყენოს, როცა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეა „კორეის საკითხის" განხილვას შეუდგება. სააგენტო დასძენს, შეერთებული შტატები შიშობენ, რომ სამხრეთ კორეიდან ამერიკის ჯარების დაუყოვნებლივ გაყვანა „მთელ კორეაში კომუნისტების ბატონობის დამყარებას გამოიწვევსო".

იუნაიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი როპერი პარიზიდან მიღებულ დეპეშაში აცხადებს, რომ საბჭოთა კავშირმა „ხელთ იგდო ინიციატივა მოსალოდნელ ბრძოლაში", რომელიც დაიწყება გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში კორეის საკითხზე. კორესპონდენტი მოსაზრებას გამოსთქვამს, რომ საბჭოთა დელეგაციის მტკიცე მოთხოვნა იქნება „გაუქმდეს სეულში ამერიკელთა დახმარებით შექმნილი მთავრობა".

როგორც იუნაიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი სეულიდან იუწყება, მარიონეტული „კორეის მთავრობის" თავმჯდომარემ ლი სინ მანმა იმედი გამოსთქვა, რომ შეერთებული შტატები არ დათანხმდებიან გაიყვანონ ამერიკის ჯარები, „თუ არ მოეთათბირნენ კორეელებს, რომლებიც შეერთებულ შტატებთან ერთად მოქმედებდნენ".

ლი სინ მანის ეს განცხადება შეიძლება შეფასებულ იქნას მხოლოდ როგორც თვითმხილება: კორეელი ხალხის გამცემმა არსებითად, აშკარად აღიარა, რომ მისი „ხელისუფლება" მხოლოდ და მხოლოდ ამერიკის ჯარების ხიშტებს ეყრდნობა.

ჩინეთი

შანხაი, 23 სექტემბერი. (საკდესი). ჩინეთის რეაქციული პრესა კომენტარს უკეთებს საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილებას ჩრდილოეთ კორეიდან საბჭოთა ჯარების გაყვანის შესახებ და ცდილობს აღძრას ეჭვი, თითქოს კორეის საკითხში საბჭოთა კავშირის ნათელი პოზიციის უკან „რაღაც იფარება".

მთელი რიგი გაზეთები აღნიშნავენ, რომ საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილებამ ძნელ მდგომარეობაში ჩააყენა ამერიკის შეერთებული შტატები. „ამერიკის შეერთებული შტატებისათვის, — სწერს გაზეთი „ჩაინა პრესი", — მხოლოდ არახელსაყრელი დიპლომატიური მდგომარეობა რჩება".

ასაბუთებენ რა „მოსაზრებებს" ამერიკის ჯარების გაყვანის „შეუძლებლობის" შესახებ, ჩინეთის მემარჯვენე გაზეთები იძულებული არიან აღიარონ ლი სინ მანის მარიონეტული „მთავრობის" მდგომარეობის მერყეობა და ეს გაზეთები, თუმცა უხალისოდ, აღიარებენ, რომ ჩრდილოეთ კორეაში დამყარებული რეჟიმი მტკიცე და ძლიერია.

ჩეხოსლოვაკია

პრაღა, 23 სექტემბერი. (საკდესი). საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილებას ჩრდილოეთ კორეიდან საბჭოთა ჯარების გაყვანის შესახებ ჩეხოსლოვაკიის პრესა აფასებს, როგორც საბჭოთა კავშირის მშვიდობისმოყვარული პოლიტიკის გამოვლინების ახალ დადასტურებას.

გაზეთი „რუდე პრავო" სწერს, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მე-3 სესიის გახსნის წინადღეს საბჭოთა მთავრობამ კვლავ დაამტკიცა თავისი მისწრაფება მშვიდობისადმი და კარგი მაგალითი მისცა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ყველა წევრს.

საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილება კორეიდან ჯარების გაყვანის შესახებ, სწერს შემდეგ გაზეთი, ადასტურებს, რომ საბჭოთა კავშირი ნამდვილად იცავს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებაში ჩაწერილ ყველა ხალხის უფლებებს თავისუფლებასა და დამოუკიდებლობაზე. ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ განაცხადა რა უარი სამხრეთ კორეიდან ჯარების გაყვანაზე, ამით კვლავ ცხადჰყო, რომ იგი ფეხქვეშ სთელავს ამ უფლებებს და რომ მისთვის ამერიკელი კაპიტალისტების ინტერესები გაცილებით უფრო მახლობელია, ვიდრე კორეელი ხალხის ან რომელიმე სხვა ხალხის ინტერესები.

ავსტრია

ვენა, 23 სექტემბერი. (საკდესი). დემოკრატიული გაზეთები კომენტარს უკეთებენ საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილებას ჩრდილოეთ კორეიდან საბჭოთა ჯარების ევაკუაციის შესახებ და ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ საბჭოთა კავშირი მუდამ იცავდა მცირე ხალხების სრულ სუვერენიტეტს.

„ჩრდილოეთ კორეის ოკუპაციის განმავლობაში, — სწერს გაზეთი „ნოიე ცაიტი", — საბჭოთა ჯარებმა კორეელ ხალხს შესაძლებლობა მისცეს შეექმნა მმართველობის დემოკრატიული ორგანოები. ისინი ხელს უწყობდნენ კორეის ეროვნული აღორძინების საქმეს".

გაზეთი „ვარჰაიტი" ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საბჭოთა ჯარები ამჟამად გაყვანილი არიან ყველა ქვეყნიდან, სადაც ისინი იმყოფებოდნენ, როგორც ერთადერთი მაოკუპირებელი ჯარები. „მსოფლიოს ხალხებს — სწერს გაზეთი, — სულ უკეთ და უკეთ ესმით, ვინ არის მათი დამოუკიდებლობის მომხრე და ვინ — ჩაგვრის მომხრე".

იტალიაში მოჰკლეს კომუნისტი რეპეტი

რომი, 23 სექტემბერი. (საკდესი). როგორც გაზეთი „უნიტა" იუწყება, ქალაქ პიანელის (პიაჩენცის პროვინცია) შრომის პალატის მდივანი, კომუნისტი რეპეტი, 27 წლისა, პარტიზანული ბრძოლის აქტიური მონაწილე, მოღალატურად მოჰკლეს ხელგრანატით.

გაზეთი „უნიტა" სწერს, რომ რეპეტის მოკვლა მოაწყეს ადგილობრივმა მემამულეებმა. პოლიციამ დამნაშავენი ვერ აღმოაჩინა.

„ამერიკის სრულიად სლავური კონგრესის" მდივნის პირინსკის დაპატიმრება

ნიუ-იორკი, 24 სექტემბერი. (საკდესი). ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს ჩიკაგოელი კორესპონდენტი იუწყება, რომ იმიგრაციულმა ხელისუფლებმა, როგორც სჩანს გადასახლების მიზნით დააპატიმრეს „ამერიკის სრულიად სლავური კონგრესის" მდივანი პირინსკი, რომელსაც ბრალს სდებენ იმაში, რომ იგი უცხოელი არის და იმ ორგანიზაციის წევრი, რომელიც „ამერიკის მთავრობის ძალდატანებითი დამხობის" მომხრეა. იმიგრაციული ხელისუფალნი აცხადებენ, რომ პირინსკი შეერთებულ შტატებში ჩამოვიდა ბულგარეთიდან 1936 წელს.

ნიუ-იორკის პროგრესულ წრეებში აღნიშნავენ, რომ პირინსკის დაპატიმრებისათვის შერჩეული მომენტი — „ამერიკის სრულიად სლავური კონგრესის" ყრილობის გახსნის წინადღე ჩიკაგოში — მკაფიოდ მოწმობს განზრახვას ხელი შეუშალონ „ამერიკის სრულიად სლავური კონგრესის" ყრილობას, რომლის უაქტიურესი ლიდერია პირინსკი.

ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს ვაშინგტონელი კორესპონდენტი იუწყება, რომ, იუსტიციის სამინისტროს სიტყვებით, პირინსკი დაპატიმრებულია არა იმიტომ, რომ ის „ამერიკის სრულიად სლავური კონგრესის" წევრია, არამედ იმისათვის, რომ იგი თითქოს იყო „დაკავშირებული კომპარტიასთან ამერიკაში ჩამოსვლის შემდეგ და არღვევდა იმიგრაციულ კანონებს".

„ცდკა"-ს გუნდი ჩვენი ქვეყნის ჩემპიონია ფეხბურთში

24 სექტემბერს მოსკოვის „დინამოს" სტადიონზე დედაქალაქის „ცდკა"-ს და „დინამოს" გუნდებმა ჩაატარეს სსრ კავშირის პირველობის გათამაშების უკანასკნელი მატჩი.

მესამე წუთზე ბობროვმა მარცხნიდან მიწოდებული ბურთი თავური დარტყმით გაიტანა „დინამოს" კარში.

დაძაბულობა მატულობს. თამაში სწრაფი ტემპით მიმდინარეობს. რამდენიმე წუთის შემდეგ დინამოელები გაიჭრნენ არმიელთა კართან და ბესკოვმა საპასუხო ბურთი გაიტანა. ანგარიში 1:1.

გარღვევა გარღვევას მისდევს. ხან ერთ კართან, ხან მეორესთან სახიფათო მდგომარეობა იქმნება. პირველსავე ტაიმში „ცდკა"-ს თავდამსხმელ ნიკოლაევს თამაშის ანგარიში აჰყავს 2:1-მდე თავისი გუნდის სასარგებლოდ. ეს შედეგი უცვლელი რჩება შესვენებამდე.

შესვენების შემდეგ თამაში კვლავ სწრაფი ტემპით მიმდინარეობს. დინამოელები ყოველ ღონეს ხმარობენ ანგარიშის გასათანაბრებლად, რადგან ფრე მათთვის მოგება იყო. აქტიურად ესხმიან თავს მოწინააღმდეგის კარს არმიელებიც. ორივე გუნდის მეკარეებს ხშირად უხდებათ თამაშში ჩარევა.

ერთ-ერთ მომენტში, როცა არმიელთა კართან ძნელი მდგომარეობა შეიქმნა, „ცდკა"-ს დამცველ კოჩეტკოვს, რომელიც გუშინ ძალიან კარგად თამაშობდა საბედისწერო შეცდომა მოუვიდა, რამაც კინაღამ დამარცხება არგუნა არმიელებს. თავის კართან შექმნილ კრიზისულ მომენტში მას სურდა განზე გადაეტყორცნა ბურთი, მაგრამ თავის კარში შეაგდო. ანგარიში გახდა 2:2.

არმიელ ფეხბურთელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ამ გარემოებას არ შეუსუსტებია მათი ნებისყოფა. გუნდმა დაძაბა მთელი თავისი ძალები და თამაშის დამთავრებამდე [illegible]ნახევარი წუთით ადრე გაიტანა მესამე, გადამწყვეტი ბურთი.

ჩვენი ქვეყნის პირველობის მეათე გათამაშება დამთავრებულია. „ცდკა"-ს ფეხბურთელებმა მესამე წელია ზედიზედ მოიპოვეს ჩემპიონის საპატიო წოდება. მათ 41 ქულა დააგროვეს. 26 თამაშიდან არმიელებმა 19 მოიგეს, 3 ფრედ დაამთავრეს და 4 წააგეს.

„დინამოს" გუნდი მეორე ადგილზე გამოვიდა. 26 თამაშის შემდეგ მას 40 ქულა აქვს. მას აქვს 18 მოგება, 4 ფრე და 4 წაგება. მე-3 ადგილი უკავია „სპარტაკს" (მოსკოვი), მე-4 ადგილი „დინამოს" (თბილისი), მე-5 — „ტორპედოს" (მოსკოვი), მე-6 — „დინამოს" (ლენინგრადი), მე-7—„ლოკომოტივს" (მოსკოვი), მე-8 —„ტორპედოს" (სტალინგრადი), მე-9—„ვვს"-ს (მოსკოვი), მე-10—„დინამოს" (კიევი), მე-11—„კრილია სოვეტოვს" (კუიბიშევი), მე-12 — „დინამოს" (მინსკი), მე-13—„ზენიტს" (ლენინგრადი), მე-14 — „კრილია სოვეტოვს" (მოსკოვი). (საკდესი).

თეატრებში

26 სექტემბერს: ზ. ფალიაშვილის ოპერისა და ბალეტის — „ამაო სიფრთხილე" (დღისით), „ტრუბადური" (საღამოთი); **რუსთაველის სახელობის** — „ერთი ღამის შეცდომები"; **მარჯანიშვილის სახელობის** — „მოძღვარი"; **გრიბოედოვის სახელობის** — „თქვენ გიხმობთ ტაიმირი" (დღისით), „შმაგი ფულები" (საღამოთი);

კინოებში

26 სექტემბერს: „რუსთაველი", „ამირანი", „სპარტაკი" — „ლამურა"; **„ოქტომბერი", „თბილისი"** — „სიმღერა შენთვის"; **26 კომისრის სახელობის** — „იან როგოჩი" (I დარბაზი), „დაგვიანებული სასიძო" (II დარბაზი), „ამანგელდი" (საზაფხულო დარბაზი).

ქრონიკა

27 სექტემბერს, შრომის სასახლის სასხდომო დარბაზში (გრიბოედოვის 19) საღამოს 7 საათზე შესდგება საქართველოს სსრ უმაღლესი სკოლების და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა კავშირების რესპუბლიკური კომიტეტის მე-6 პლენუმი.

დღის წესრიგი: **„1947-1948 სასწავლო წლის შედეგები და ახალი სასწავლო წლის ამოცანები".**

პასუხისმგებელი რედაქტორი
გ. ნანიტაშვილი

შვილი გიორგი, რძალი თამარ კიკნაძეები შვილით მარინეთი, ძმა კონსტანტინე მაჭავარიანი იუწყებიან **ნინო თერაპონტეს ასულ კიკნაძის** გარდაცვალებას. გამოსვენება 26-IX, 4 ს. ათარბეგოვის (ყოფ. სასამართლოს), 35.

რ. შადური, მ. ლელაშვილი, გ. ჯიბლაძე, ა. ნუცუბიძე, ა. ჯიშიაშვილი, გ. ყორყიაშვილი თანაგრძნობას უცხადებენ გ. კიკნაძეს მისი დედის **ნინო თერაპონტეს ასულ კიკნაძის** გარდაცვალების გამო.

ალექსანდრე, ელენე და შოთა კიკნაძეები იუწყებიან **ნინო თერაპონტეს ასულ კიკნაძის** გარდაცვალებას.

საქართველოს სსრ კინემატოგრაფიის სამინისტროს ცენტრალური აპარატის მუშაკთა კოლექტივი იუწყება გიორგი კიკნაძის დედის **ნინო თერაპონტეს ასულ კიკნაძის** გარდაცვალებას.

ი. ბარნაბიშვილი, პ. გუნცაძე, ა. თავართქილაძე, გ. კავკასიძე, გ. კოპაძე, ი. პოლოსოვი, თ. სხირტლაძე, ვ. ღალანიძე, ნ. ჩიქოვანი, შ. ცხაკაია, მ. ხუხუნი, დ. ხალიპოვი, პ. ჯვარშეიშვილი იუწყებიან გიორგი კიკნაძის დედის **ნინო კიკნაძის** გარდაცვალებას.

შვილი როზა, შვილიშვილები აზა და ჯანსუღ კეკელიები, ძმისწული ლია პაპავა იუწყებიან **მაკრინე დიანოსის ასულ პაპავა-შარაბიძის** გარდაცვალებას. გამოსვენება 26-IX, 3 ს. ფურცელაძის, 14.

ვაკის მე-17 საშუალო სკოლის დირექცია და მასწავლებლები იუწყებიან ამავე სკოლის X კლასის მოსწავლის **ტრისტან მაზმიშვილის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 26-IX სოფ. ყარაღაჯში (კასპის რ.).

საქართველოს ზოოტექნიკურ-სავეტერინარო ინსტიტუტის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ დოცენტ ვლადიმერ ჩირაძეს მისი მეუღლის **ქეთევან ჩირაძის** გარდაცვალების გამო.

გ. ნანიტაშვილი, ი. ნატროშვილი, ი. დოლიძე, გ. ჩარექიშვილი, რ. შანიძე, ს. ბოკუჩავა, დ. კალანდაძე, ქ. ბუხრაძე, ბ. ლორთქიფანიძე თანაგრძნობას უცხადებენ გ. ი. კიკნაძეს მისი დედის **ნინო თერაპონტეს ასულ კიკნაძის** გარდაცვალების გამო.

მეუღლე ლიზა, ძმა ნესტორ, დები ლიდა, ბაბუცა, რძალი მარო, ძმისწულები მერი, ლევან ბახტაძეები, სიძე აკაკი გენძეხაძე იუწყებიან მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის **გიორგი ანტონის-ძე ბახტაძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 26, 27-IX, 8 ს. გამოსვენება 28-IX, 5 ს. კლარა ცეტკინის, 21.

მეუღლე ვლადიმერ, შვილი ბადურ, დედა ოლღა ჩირაძეები, დეიდა მარო გობრონიძე იუწყებიან **ქეთევან ნესტორის ასულ იმანიძე-ჩირაძის** გარდაცვალებას. გამოსვენება 26-IX, 2 ს. ნიკოლაძის შესახ. 4.

კინოფიკაციის სამმართველოს მუშაკები: თ. სხირტლაძე, ს. ასლანოვი, ი. მარგალიტაძე, გ. ჯაფარიძე, მ. მეტრეველი, გ. ხოშტარია, ლ. დოლიძე, ქ. ჭუმბურიძე და ბ. ბობრი თანაგრძნობას უცხადებენ გიორგი კიკნაძეს მისი დედის **ნინო კიკნაძის** გარდაცვალების გამო.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიკის კათედრის წევრები: პროფესორი გ. თავზიშვილი, პროფესორი დ. ლორთქიფანიძე, დოცენტი დ. ყიფშიძე, ვ. ქაჯაია, დ. ფირცხალავა და ლ. დოღონაძე იუწყებიან კათედრის გამგის დოცენტ გ. კიკნაძის დედის **ნინო კიკნაძის** გარდაცვალებას.

ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის დირექცია, პარტორგანიზაცია და პროფორგანიზაცია იუწყებიან ანგელინა შარაბიძის დედის **მაკრინე პაპავა-შარაბიძის** გარდაცვალებას.

დისწულები ანთისა თოლორდავა, სოფიო ქუშაკევიჩი და ნიკოლოზ ქოიავა იუწყებიან **მაკრინე დიანოსის ასულ პაპავა-შარაბიძის** გარდაცვალებას. გამოსვენება 26-IX, 3 ს. ფურცელაძის, 14.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიური ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლები იუწყებიან **მაკრინე დიანოსის ასულ პაპავას** გარდაცვალებას.

შ. რუხაძე, ლ. ჩიტიშვილი, დ. ჩომახიძე, მ. ჩირაყაშვილი, გ. თანიაშვილი, ს. თურმანიძე, პ. თავართქილაძე, ქ. ფანცულაია, ი. ლევინაშვილი, ბ. ძნელაძე, შ. ძაგანია, ა. ხახალეიშვილი, ქ. აბაზაძე თანაგრძნობას უცხადებენ კინემატოგრაფიის მინისტრს გიორგი კიკნაძეს მისი დედის **ნინო კიკნაძის** გარდაცვალების გამო.

ლენა და მაკარ ჯაშები თანაგრძნობას უცხადებენ გიორგი კიკნაძეს მისი დედის **ნინო კიკნაძის** გარდაცვალების გამო.

მერი და სერგო საყვარელიძეები შვილებით იუწყებიან ბიცოლას **ნინო თერაფონტეს ასულ კიკნაძის** გარდაცვალებას.

დავით, შიო, ბაბილინა, ნინო, ნათელა, ჯილდა ჩირაძეები იუწყებიან **ქეთო იმანიძე-ჩირაძის** გარდაცვალებას.

ზოოტექნიკურ-სავეტერინარო ინსტიტუტის კლინიკური კათედრების და პოლიკლინიკის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ დოცენტ ვ. ჩირაძეს მისი მეუღლის **ქეთევან ჩირაძის** გარდაცვალების გამო.

მეუღლე ევგენი, შვილები ნანული და გურამ ჩიხელიძეები იუწყებიან, რომ 26-IX, 3 ს. ვაკის სასაფლაოზე დანიშნულია **თამარ ალფეზის ასულ გაჩეჩილაძე-ჩიხელიძის** პანაშვიდი.

ტ. წერეთელი, ნ. ჩაჩანიძე, ქ. კონტრიძე, ვ. წულაია, ნ. მეტეხელი და ქ. ჯოჯუა იუწყებიან **იპატი ბებურის-ძე ღლონტის** გარდაცვალებას. გამოსვენება 26-IX, 3 ს. ჯანაშიას, 49.

თბილისის კავშირგაბმულობის ელექტროტექნიკუმის კოლექტივი იუწყება ტექნიკუმის მხცოვანი მასწავლებლის ინჟინერ **იპატი ბებურის-ძე ღლონტის** გარდაცვალებას.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივანი—3-08-67, სადღეღამისო—3-06-88, განყოფილებებისა: პროპაგანდის—3-82-05, პარტიული ცხოვრებისა და საბჭოთა მშენებლობის — 3-81-84, სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო-სატრანსპორტო—3-80-83, კულტურის, ყოფაცხოვრებისა და ინფორმაციის — 3-80-84, ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელისა და მშრომელთა წერილების — 3-73-24, მორიგისა და გამომშვების — 3-81-65, გამომცემლობისა—3-51-81, სტამბის დირექტორის—3-77-70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28. ტირაჟი 110.000 უე 13574